# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 212 (5813)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.


# 5 ნოემბერი – საერთო სახალხო კრება გრძელდება







## ჭირი დანახული ჯობს

6

## ბიჭი დუცა დაი-ჩუცა...



## ექსპერტ-პროვოკატორი ედუარდ აბრამიანი...

7-12

## იმპერატორი, რომელსაც სახელმწიფოს მართვა თამაში ეგონა!

3-4

## სამეგრელო ვანდეა არ არის

3-4



განცხადება

## მხოლოდ ურთიერთმოსმენა და ურთიერთგაგება გვიშველის!..

2

# ადუღებული დრო

● საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, რომელიც სრულიად საქართველოს ჟურნალისტებმა 2007 წლის 15 აპრილს აირჩიეს, შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე, ჩიხური მდგომარეობის გამო და მოუწოდებს ხალხის ჯიბრზე გაჯიუტებულ ხელისუფლებას, რომ სანამ ჯერ კიდევ დროა, ყურად იღოს ქუჩაში ათიათასობით გამოსული ხალხის ხმა



◎ ზვავი

## ჯიმი ჯალიაშვილი:

# უმწვავესი პოლიტიკური კრიზისია

### სააკაშვილი ხალხთან გასვლას ვერ გაბედავს

**რა ხდება საქართველოში? ეს მხოლოდ უფალმა უწყის! წყალი კი ამღვრეულია, მაგრამ ნამდვილად ვინ რის დაჭერას აპირებს, ალბათ, მალე მაინც გამოჩნდება. იმასაც ამბობენ, პოზიციაცა და ოპოზიციასაც ერთი ხელით იმართებაო...**

**ასეა თუ ისე, რაიმე შედეგით ხომ მაინც უნდა დამთავრდეს დაპირისპირება? დაპირისპირება სრულიად საქართველოსა და ხელისუფალთა შორის, უშედეგოდ? ესეც ხომ შედეგია?! თუმცა, რისხვით შემართული ხალხი ამას არ დაუშვებს.**

**ასე ფიქრობს პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი. სწორედ მას ვთხოვეთ მოსაზრების გამოთქმა იმაზე, რაც ჩვენში ხდება და მოვლენების განვითარების თავისი ვარიანტის შემოთავაზება.**

– რაც ხდება, ხელისუფლების მცდარი პოლიტიკის შედეგია. როცა 15 წლის მანძილზე დახშულ წრეში ტრიალებს, ერთი და იგივე მეორდება. ახლა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. კონკრეტული ვითარება გვაინტერესებს. და ვიტყვი, რომ ძალზე კარგად მესმის, რა მდგომარეობაშიცაა ხელისუფლება, მაგრამ ასეთი უაზრობა? მისი გამონათქვამები და ქმედებები სრულიად არაადეკვატურია. თუ ხელისუფლებას დიალოგის უნარი არ შესწევს, უნდა წავიდეს! ეს აუცილებლად მაინც მოხდება. ამას განგაშს და ეს სურს მთელ საქართველოს. ის მუხტი, რაც ხალხში ტრიალებს, უთუოდ შეიცავს ამის პოტენციალს.

აგერ, განაცხადა ხელისუფლებამ, სახელმწიფო დაწესებულებების პიკეტირება დანაშაულია და, თუ ამას იზამენ, დაისჯებიანო. ეს კი ასეა, მაგრამ ავიწყდებათ, დემოკრატიის აუცილებელი პრინციპი და პირობა დიალოგია. ხომ შესთავაზეს ამის ყველა ფორმა – კონსტიტუციური, ფორმალური და არაფორმალური? ილო ყურად? ამიტომ ისიც კანონდარღვევააა, როცა მოქალაქეებს ხმის მიწვდენის სხვა საშუალებას არ აძლევ, თავად უბიძგებ ასეთი ქმედებისაკენ.

ახლა პრეზიდენტის სიტყვა... ის არაფრით განსხვავდება ხელისუფლების წარმომადგენელთა არაადეკვატური გამოსვლებისგან. იმდენს ახერხებენ, რომ ოპოზიციის, ხალხის მოთხოვნებს არც კი ახსენებენ. თანაც, სრულიად შეგნებულად ცდილობენ დაასაბუთონ, თითქოსდა სულ სხვა მოვლენები ვითარდება.

არანაირი სხვა პროცესები არ ვითარდება! უმწვავესი პოლიტიკური კრიზისია და მისი მოგვარების გზა დიალოგია. არა აქვს მნიშვნელობა რამდენი ადამიანი დგას ქუჩაში პროტესტის ნიშნად. დიალოგი მაინც აუცილებელია. პრეზიდენტისგან ხომ აღარ მოითხოვენ ხალხთან მისვლას? ის ამას ვერც გაბედავს. მაგრამ შუამავლის მეშვეობით დიალოგის წარმართვა ხომაა შესაძლებელი?

**– ოპოზიცია რამდენად სწორად მოქმედებს?**

– მისი დანიშნულებაა, ცივილიზებული ფორმით მიაწვდინოს ხალხის ხმა ხელისუფლებას. პარლამენტში ეს არ მოხერხდა. ჰოდა, აზვირთდა მრისხანების ტალღა და ვითარება ასე დაიძაბა.

**– კი მაგრამ, რომ არავინ ისმენს ხალხის ნებას?**

– ასეთ პროცესებს ბუნებრივი დასასრული აქვს. იქ მდგომი ხალხი...

**– მობეზრდება დგომა და წავა?**

– დიახ, წავა, მაგრამ, რაკი ხელისუფლებას ვერაფერს შეაგნებინებს, უკიდურეს ზომებზე წავა. ხალხი უკან დასახევად ნამდვილად არაა განწყობილი, ხელისუფლებამ უნდა გადახედოს ჩვენი და სხვა ქვეყნების წარსულს და გაიზიაროს, რითი მთავრდება ხოლმე ასეთი მოვლენები.

დაბოლოს, ქართველებს ბევრი სიდუხჭირისთვის გაგვიძლია. ამიტომ გამოსვლების უპირველეს მიზეზად სოციალური პრობლემების წამოწევა, რაც სააკაშვილმა ქნა თავის გამოსვლაში, ცინიზმია.

თურმე, ქართველ კაცს კარგა თუ გამოაძღებ, აღარც სამშობლო ემახსოვრება და აღარც ეროვნული ფასეულობები.

სწორედ ასეთმა ცინიზმმა, ღირსების შელახვამ აუვსო ხალხს მოთმინების ფიალა. ამ ცინიზმმა, აბუჩად აგდებამ ააჩეხინა კახელ გლეხს ვენახი.

ახალ ხელისუფლებას ვურჩევდი, ხალხთან ურთიერთობის ასეთი გზა არა და არ აირჩიოს...

**ესაუბრა**
**კოტე სარალიძე**

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

◎ განცხადება

# მხოლოდ ურთიერთმოსმენა და ურთიერთგაგება გვიშველის!..

**ორი ნოემბრიდან ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ საქართველოში ყველაფერი კარგად ვერ არის, უფრო სწორად, ძლიერ ცუდად არის. ხალხის დიდი ნაწილი და ხელისუფლება აშკარად დაპირისპირებულია, მართალია, ჯერჯერობით კონსტიტუციურ ჩარჩოებში, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის, რადგან დაპირისპირებულ მხარეთა „კონსტიტუციის ჩარჩოებში" ყოფნა საბოლოოდ სრულებითაც არ ნიშნავს მშვიდობას საქართველოს ცის ქვეშ.**

**იმის მაგივრად, რომ თავისივე ამომრჩეველ ხალხს ანგარიში გაუწიოს და მართლაც ძლიერი ხელისუფლებისთვის არცთუ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი – გაისად აპრილში არჩევნების დანიშვნა – სრულიად ადვილად გადაწყვიტოს, ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც იტყვიან, გაქირი ქნა და ხალხის სამართლიან მოთხოვნას ცივი უარი სტკიცა, რითაც კიდევ გააფართოვა და გააღრმავა ხალხსა და ხელისუფლებას შუა გაჩენილი საბედისწერო უფსკრული, რომლის გადალახვაც სულ უფრო და უფრო შეუძლებელი და უიმედო ხდება.**

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, რომელიც სრულიად საქართველოს ჟურნალისტებმა 2007 წლის 15 აპრილს აირჩიეს, შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე, ჩიხური მდგომარეობის გამო და მოუწოდებს ხალხის ჯიბრზე გაჯიუტებულ ხელისუფლებას, რომ, სანამ ჯერ კიდევ დროა, ყურად იღოს ქუჩაში ათიათასობით გამოსული ხალხის ხმა და დარჩეს მთელი საქართველოს და არა ერთი მუჭა მხარდამჭერთა ხელისუფლებად.**

**თუ მართლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და აღმშენებლობა გვინდა, ჯერ ქვეყნის შიგნით უნდა გავმთლიანდეთ, მთელი ხალხის ძალა და უნარი საერთო-სახალხო კეთილდღეობის შექმნას მოვანდომოთ და არა უაზრო დაპირისპირებას, რაც არც ერთი მხარისთვის კეთილად არ დამთავრდება.**

**2007 წლის 15 აპრილს**
**არჩეული საქართველოს**
**ჟურნალისტთა კავშირი**




◎ პოზიცია

# ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება ჯიუტი თხების კინკლაობას ჰგავს

**რუსთაველის პროსპექტზე ხალხმრავალი მიტინგი გრძელდება, იქ ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებს. ოპოზიციის ლიდერებმა შეძლეს ათასობით ადამიანი გამოეყვანათ ქუჩაში. პრეზიდენტის გუშინწინდელმა გამოსვლამ ამ ხალხის პროტესტი კიდევ უფრო გაამძაფრა. ოპოზიცია ირწმუნება, რომ პრეზიდენტი ვერ აღიქვამს რეალობას, რომ მისი გამოსვლა სრულიად არაადეკვატური იყო და ა. შ...**

**როგორ აფასებენ სააკაშვილის გამოსვლას ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები?**

**გურამ ყორანაშვილი, პროფესორი:** მე ისტორიკოსი ვარ და ობიექტური უნდა ვიყო. პრეზიდენტის გამოსვლა მთლიანობაში აწონილ-დაწონილი იყო, თუმცა ერთი დიდი ნაკლი შევნიშნე:. მას არა აქვს სურვილი კომპრომისზე წასვლისა, მოწინააღმდეგესთან დიალოგის გამართვისა. იგივე შეიძლება ითქვას ოპოზიციის ლიდერებზეც. ისინი ხელებს იქნევენ და ულტიმატუმის ენით ლაპარაკობენ. ეს სიკეთეს არ მოგვიტანს. დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, ერთად გადაწყვიტონ საკამათო საკითხები! მათ ხომ საქართველოს, ქართველი ხალხის ბედი უნდა გადაწყვიტონ? ქუჩაში ამ საკითხის გადაწყვეტა მიუღებელია ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებას რომ ვაკვირდები, ორი ჯიუტი თხა მახსენდება: არც ერთმა არ დათმო და ბოლოს ორივე წყალში გადავარდა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება იგივე მოხდეს და ყველაზე მეტად ქართველი ხალხი დაზარალდეს. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო 9 აპრილის ტრაგედია, გავიხსენოთ ჩვენი წარსული და დასკვნები ამის მიხედვით გავაკეთოთ. დიალოგის გამართვა, კომპრომისზე წასვლა ორივე მხარისთვის აუცილებელია!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** პრეზიდენტი საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა, როცა თავის მონოლოგს წარმოთქვამდა. მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუწოდებ ამ გამოსვლას დიალოგს. კითხვები, რომლებიც მას დაუსვეს, მისაღები იყო სააკაშვილისთვის. სავარაუდოდ, ეს კითხვები მასთან წინასწარ იყო შეთანხმებული.

პრეზიდენტის პოზიცია პირადად ჩემთვის თავიდანვე გასაგები იყო. მის მიერ არჩეული გზა, ეს არის დროის გაყვანის ტაქტიკა. ის მიიჩნევს, რომ არც ერთ საკითხზე არ უნდა დაეთანხმოს ოპოზიციას, რადგან დრო მის სასარგებლოდ მუშაობს. პრეზიდენტიც და მისი გუნდიც საკმაოდ კარგად აღიქვამენ რეალობას, მათ იმედი აქვთ, რომ ხალხი დაიღლება, ამინდები გაუარესდება და მიტინგი თანდათან დაკარგავს ძალას. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ის არის წარმატებული და გამარჯვებული. ის დაშორებულია ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ეს ამბავი არც აწუხებს: მას მხარს უჭერენ დასავლეთში, ვაშინგტონში და ხალხის გამოსვლები ვერ დაატოვებინებს თანამდებობას. გავიხსენოთ უნგრეთის მაგალითი: შარშან იქ სერიოზული გამოსვლები იყო პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრი გაჯიქდა და არ დათმო თანამდებობა, ერთი კვირის შემდეგ მიტინგი დაიშალა. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. სააკაშვილი არსად წამსვლელი არ არის. მან მეორე საპრეზიდენტო ვადაც ახსენა. მისი გარემოცვაც იმდენად ჯიუტია, რომ მმართველი გუნდი არანაირ დათმობაზე არ წავა. დიალოგზე ლაპარაკიც, ჩემი აზრით, არაფრისმომტანია. მათ აირჩიეს დროის გაყვანის ტაქტიკა და ყველანაირად ეცდებიან, ამ გზით საკუთარი მმართველობის ვადა გაიხანგრძლივონ.

**ჩაიწერა**
**ხათუნა ჩიგოგიძემ**

# ადუღებული დრო

**ხელისუფლება უეჭველად დათმობს. დათმობს თუნდაც იმიტომ, რომ შეეცადოს დროის მოგებას. ქალბატონ გუგული მაღრაძის განცხადება ამის ნათელი დადასტურებაა**






## თვალსაზრისი

# იმპერატორი, რომელსაც სახელმწიფოს მართვა თამაში ეგონა!

**ეს სათაური ბერნარდო ბერტოლუჩის ცნობილი ფილმის „უკანასკნელი იმპერატორის“ იმ ანონსიდან ავიღე, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ტრიალებდა და დარწმუნებული ვარ, მაყურებელთა უმრავლესობაში ზუსტად ის ასოციაცია გამოიწვია, რაც ჩემში.**

საქართველოში ძალიან დაძაბული ნოემბერი დადგა. 2 ნოემბრის მოვლენებს წინ დიდი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა, როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების მხრიდან. ოპოზიციამ მძიმე შრომა გასწია მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა 2 ნოემბერს თბილისში მთელი საქართველოდან ჩამოსულიყო მოსახლეობა პროტესტის გამოსახატად. არც ხელისუფლება იჯდა გულხელდაკრეფილი და 100-ლარიანი ვაუჩერების დარიგების პარალელურად გამალებული ადუღებდა ერთმანეთზე „დუპელის“ ლურსმნებს.

პრეზიდენტი კი ჩვეულ რეჟიმში დაფრინავდა, დადიოდა დისკოთეკებზე, სადაც ცეკვის ნაცვლად იმუქრებოდა, როგორც ყოველთვის ამახინჯებდა საქართველოს ისტორიას და ცუდად ხუმრობდა.

უფრო სწორედ, ცუდად კი არა, ძალიან ცუდად ხუმრობდა. მან ხუმრობით მიმართა საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მომხრეებს და თქვა, რომ მისი დიდი ბებია ბაგრატიონი იყო და რჩევა მისცა ყოველგვარი ზედმეტი თავისტეხის გარეშე მოეგვარებინათ ყველაფერი. მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ, თუ არ გაითვალისწინა ის, რომ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის წინადადებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გამოვიდა. ხოლო პატრიარქის სიტყვებზე ხუმრობის უფლება არავის არა აქვს.

პრეზიდენტის ასეთი განწყობა მხოლოდ ერთი რამის მაჩვენებელია, მან ნათლად დაგვანახა, რომ იგი სრულიად არაადეკვატურია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, აბსოლუტურად მოწყვეტილია საკუთარ ხალხს და არაფრისდიდებით არ სურს მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიმე რეალური ნაბიჯების გადადგმა.

ზოგიერთმა პოლიტოლოგმა და ე.წ. ექსპერტმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი საკუთარი გარემოცვის მძევალია და რომ ის არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას. ასეთი შეფასება პრეზიდენტის „პირის მოწმენდის“ მცდელობაა, რადგან დღეს ე.წ. ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა ფაქტობრივად შეუძლებელია და მით უმეტეს შეუძლებელია თუნდაც გაზეთების არმკითხველი პრეზიდენტისთვის.

პრეზიდენტის მიერ ჩადენილი ნებისმიერი მოქმედება, ნათლად გვაჩვენებდა მის სრულ ინფორმირებულობას. მისი გამოსვლების ტონი, მუშტების ქნევა საცეკვაოდ მისული ახალგაზრდების წინ, უაზრო მუქარები ჩრდილოელი მეზობლის მისამართით, იმის მაჩვენებელი იყო, რომ მან კარგად უწყოდა ხალხის დამოკიდებულება მისი მმართველობის მიმართ და ასეთი მოქმედებით ცდილობდა ყურადღების სხვა საკითხზე გადატანას, მაგრამ მან და მისმა გარემოცვამ ვერ გათვალეს ერთი მეტად მარტივი საკითხი: ქართველი ხალხი ბრძენია, გაცილებით უფრო ბრძენი, ვიდრე მის მიერ არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი.

პრეზიდენტის გარემოცვა გაცილებით უფრო არაადეკვატური გახლავთ. მათი გამოსვლები, მათი დამოკიდებულება ხალხისადმი უფრო და უფრო გამაღიზიანებელი იყო. ის ეიფორია, რომელიც ე. წ. „რევოლუციით“ მოსულ ახალ მთავრობას „შეეყარა“, მათი აზროვნების სისუსტეზე მეტყველებს. ნუთუ იმდენად არიან მოხიბლულნი თავიანთი თავით და იმდენად არიან დარწმუნებულნი ქართველი ხალხის სრულ მორჩილებაში ქალბატონი მაია ნადირაძე ან ბატონი გიგა ბოკერია რომ ვერ ხვდებიან მათდამი ხალხის ერთობ არაორაზროვან დამოკიდებულებას? ნუთუ ბატონ ბალავაძეს ან სამყურაშვილს ჰგონიათ, რომ მათი სატელევიზიო გამოსვლები მართლაც ისეთი „აღმაფრთოვანებელი“ და „სასიამოვნო“ სასმენია, როგორადაც მათ „ნაციონალური მოძრაობის“ რიგითი წევრები უხატავენ.

თუ მათ ჰგონიათ რომ ხალხს მათი სჯერა, მაშინ, რბილად რომ ვთქვა, ბრმები არიან, ხოლო თუ ხვდებიან რეალობას და მაინც ჩვეულ სტილში აგრძელებენ, მაშინ ორმაგად ბრმები.

პრეზიდენტის არაადეკვატურობის ბოლო დადასტურება მისი მიმალვა იყო. ის, უბრალოდ გაქრა. არის ასეთი ქართული გამოთქმა „თუ მტერი მოგივარდა, თავი ხალხს მიეცი და თუ ხალხი მოგივარდა, მდინარესო“. სააკაშვილი ვერ გავიდა ხალხთან იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ მას არაფერი აქვს სათქმელი. მან თავისი „ტყუილების გუდა“ უკვე დაცალა.

რაც შეეხება ოპოზიციას.

მიტინგზე ოპოზიციის მხრიდან ითქვა ასეთი ფრაზა, „ჩვენ კი არ გავაერთიანეთ ხალხი, არამედ ხალხმა გაგვაერთიანა, ჩვენ კი არ მოვიყვანეთ ხალხი, არამედ ხალხმა მოგვიყვანაო“. სრული სიმართლეა. ხალხი უკვე დიდი ხანია ითხოვდა ოპოზიციის გაერთიანებას, ითხოვდა რეალური ნაბიჯების გადადგმას მდგომარეობის შესაცვლელად და, ბოლოს და ბოლოს, ასეც მოხდა. რადგან ხელისუფლება არ მივიდა ხალხთან, ხალხი მივიდა ხელისუფლებასთან. ხელისუფლება კი მთასთან შედარებით გაცილებით სუსტია, ხალხი კი მუჰამედზე გაცილებით ძლიერი.

სწორედ ამის გამოა, რომ მიტინგზე შეკრებილ ხალხს გაცილებით უფრო რადიკალური მოთხოვნები აქვს, ვიდრე ოპოზიციას.

ოპოზიციის „ლიბერალურ“ მოთხოვნებს სულ ცოტა ორი ახსნა აქვს: 1. ოპოზიციამ იცის, რომ ხელისუფლების ე.წ. რევოლუციით შეცვლა არ შეიძლება. არ შეიძლება თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რევოლუციის მოხდენას თავისი „წესები“ აქვს. მაგალითად: უნდა გქონდეს დიდი ფული და მხარს უნდა გიჭერდეს ჯარის გარკვეული ნაწილი. 2. ოპოზიციამ იცის, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან კი უმთავრესი ამერიკისა და რუსეთის პოზიციებია.

რა მოჰყვება ყოველივე ამას?

ხელისუფლება უეჭველად დათმობს. დათმობს თუნდაც იმიტომ, რომ შეეცადოს დროის მოგებას. ქალბატონ გუგული მაღრაძის განცხადება ამის ნათელი დადასტურებაა. ხელისუფლებაში ნამდვილად მოიძებნება საღად მოაზროვნე რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ყველანაირად შეეცდებიან საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებაზე პრეზიდენტის დათანხმებას. მათი უმთავრესი არგუმენტი, პრეზიდენტთან საუბრისას ის იქნება, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციით უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი. ე.ი. საპრეზიდენტო არჩევნებამდე სააკაშვილს ექნება საშუალება თავის სასარგებლოდ „ითამაშოს“ ახლადარჩეული პარლამენტის და ხალხის ნერვებზე. რაც შეეხება „გარე კონსულტანტებს“. მათი პოზიცია სრულიად ნათელია.

იხ. 4 გვ.

## ფიქრები

# სამეგრელო ვანდეა არ არის

**ყველა რეგიონის მოსახლეობაში გაკოტრებული ხელისუფლება უკანასკნელ ფსონს სამეგრელოს რეგიონზე აკეთებს, რათა მისი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას დაუპირისპიროს და თავისი ანტიხალხური რეჟიმის გონებაბნელ დამცველად აქციოს. მაგრამ სამეგრელოს მოსახლეობას, საბედნიეროდ, ჯერ ისე არ დაბნელებია გონება, რომ ქართლ-კახეთის, იმერეთის ან გურიის („ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო...“ძ მოსახლეობაზე ნაკლებ შეეძლოს შავის თეთრისაგან გარჩევა.**



სამეგრელოს მოსახლეობისათვის ეს „საშიში“ განწყობილება რომ შეეცვლევინებინა, თბილისის მერი გიგი უგულავა, პრეზიდენტის თანხლებით, ზუგდიდში ჩავიდა მიტინგის ჩასატარებლად! თბილისში ხომ, ყველაფერი აჟურში ჰქონდათ, ერთსა თუ მეორეს, და ახლა ზუგდიდში უნდოდათ აჟურში მოეყვანათ! ამაზეა ნათქვამი (და არა იმაზეძ, ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო. მიტინგები ოპოზიციის საქმეა და არა ხელისუფლებისა. გონიერმა ხელისუფლებამ ოპოზიციის სამიტინგოდ არ უნდა გაიხადოს საქმე, არამც თუ ქვეყნის მართვას თავი დაანებოს და ქუჩა-ქუჩა იმიტინგოს. მაგრამ ჩვენი ხელისუფალნი ლოგიკასთან მწყრალად ბრძანდებიან, ამაზე პრეზიდენტის მიერ სულ ახლახან განმუხურში ჩადენილი არაადეკვატური ქმედებაც მეტყველებს:

პრეზიდენტი კაცი, ცარიელი ხელებით, ჯიქურ მიეჭრა კბილებამდე შეიარაღებულ რუს ჯარისკაცებს და გენერალ ჩაბანის დაუყოვნებლივ გადაყენება მოსთხოვა!

პრეზიდენტის ამ თავზეხელაღებულმა ნაბიჯმა რაღაცის უსაფრთხოების თავმჯდომარე თუ მოადგილე ნიკა რურუაც კი შეაფიქრიანა: ასეთი რისკი გამართლებული არ იყოო.

მართლაც, ხომ შეიძლებოდა, რომ „შეძეიფიანებულ“ სალდათებს უცებ ვერ ეცნოთ პრეზიდენტი (რას წარმოიდგენდნენ, რომ პუტინის ტოლი კაცი, მათი გაგებით, ძველი ბიჭივით, ქუჩაში დაუწყებდა საქმის გარჩევას!ძდა უნებლიეთ მარცხი მიეყენებინათ მისთვის.

მის თავსაც რომ თავი დავანებოთ, ამით ხომ თავი მოეჭრებოდა ქვეყანასაც! ქვეყანასაც რომ თავი დავანებოთ, რაზე სჭრიდა თავებს პრეზიდენტი უსაფრთხოების ამდენ თავმჯდომარეს — გივი თარგამაძეს, კოტე კემულარიას, ნიკა რურუას..? რა, ვერ აუსაფრთხოებდნენ ისინი „საპრეზიდენტო“ რესპუბლიკას?

თავის დროზე, მეფე ერეკლესაც სჩვეოდა მტერზე ჯიქურ მიჭრა, მაგრამ ხმლით ხელში, თანაც მაშინ ცოტა სხვა დრო იყო. დღეს ასეთი საკითხები პრეზიდენტების დონეზე წყდება და არა რიგითი ჯარისკაცების დონეზე. ჩვენ ვერ გავიგეთ, რა კონტაქტები უძღოდა წინ განმუხურის აქციას, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი რომ უშიშარი ყმაწვილია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ხშირად დადის ჯარისკაცების, საკუთარი ჯარისკაცების, დონეზე, რათა არ დავიდეს საკუთარი „მოსახლეობის“ (ეს სიტყვა მას საშინლად არ უყვარსძ დონეზე. მოსახლეობა სულ დიალოგს სთხოვს, პრეზიდენტი კი რის პრეზიდენტია, ხალხს თავი გაუყადროს. აი, ჯარი სხვა არის: ის არასოდეს დიალოგს („გაჩმახებას“ძ არ გიწყებს. თანაც უებარი საშუალებაა, ამ „გამჩმახებელი“ ხალხისათვის ხმის ჩასაკმენდინებლად.

რაც შეეხება პრეზიდენტის „არაადეკვატურობას“ (ეს სიტყვა ბოლო დროს ძალიან შემოვიდა მოდაში შემოვიდაძ, ეს აქ ისევე შეუსაბამოა, როგორც მისი „უშიშარობა“. ბ-ნი მიხეილი არც ისეთი არაადეკვატური გახლავთ, რომ ჯარისკაცების მიერ გენერლის გადაყენება დაიჯეროს. ძაღლის თავი სხვაგან უნდა იყოს საძებარი: შემთხვევით, პრეზიდენტი „მესიჯს“ ხომ არ უგზავნიდა ამით 2 ნოემბრის მომიტინგეებს: მიფრთხილდით, არაადეკვატური ვარო?

იხ. 4 გვ.

# ადუღებული დრო

**როგორც ჩანს გიგა ბოკერიამ, გივი თარგამაძემ და საპარლამენტო უმრავლესობის სხვა ლიდერებმა, ქალბატონი მარინას მსგავსად ვერ გაიგეს თუ რა სურს საქართველოს მოსახლეობას და რამ ააღელვა ამდენი ხალხი**




## თვალსაზრისი

**(მესამე გვერდიდან)**

ამერიკელები არ დაუშვებენ საქართველოში „წყლის რევოლუციურად ამღვრევას“. არ დაუშვებენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ეკონომიკის ძირითადი ობიექტები (ენერგეტიკა, ტურიზმი და კიდევ მრავალი სხვაც) რუსეთის ხელშია. თანაც არსებობს ისტორიული გამოცდილება ამერიკელებისა და მათი სატელიტი მთავრობების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამერიკელები არასდროს არ იცავდნენ ბოლომდე თავიანთ „ვასალებს“. მაგ: მათ „გადააგდეს“ ბატისტა (კუბაძ, „გადააგდეს“ ნარიეგა (პანამაძ, გადააგდეს ირანის შაჰი და სხვა უამრავი სახელმწიფო, რომელთა მთავრობები ამერიკის ხელდასმით იყვნენ მოსულნი. თანაც ამერიკელთა უმთავრეს სტრატეგიულ ინტერესს კავკასიაში, რბილად რომ ვთქვა, ერთადერთი სამხედრო აეროდრომი წარმოადგენს, ხოლო საქართველოში სიტუაციის არევა საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ამ აეროდრომის მომავალს.

ასევე ფრიად საყურადღებოა საქართველოს შესახებ ამერიკის ტელეკომპანიებში ამ ბოლო დღეებში ატეხილი სარეკლამო ბუმი. სარეკლამო რგოლებში საქართველო ნაჩვენებია, როგორც საინვესტიციო „სამოთხე“. საქართველო აქამდე ინვესტიციების განხორციელებისთვის ძალიან ცუდ ადგილს წარმოადგენდა. ეს ყველამ კარგად იცის, ხოლო განვითარებული მოვლენები, ასევე ამერიკელი „ტელევიზიონშჩიკების“ დიდი სიფრთხილე, გამოცდილება და, რაც მთავარია, ინფორმირებულობა ნათლად გვაჩვენებს საქართველოში მოსალოდნელ დიდ ცვლილებებს.

დიდ ცვლილებებს, კი არც მორიგი შადრევნის გახსნა და არც „ჯეობარის“ მორიგი ლაივ-შოუ იწვევს. დიდი ცვლილებები ხელისუფლების საკუთარი ხალხისადმი არანორმალური დამოკიდებულების შედეგია. სწორედ ასეთმა არანორმალურმა დამოკიდებულებამ მოიყვანა რუსთაველზე 120 000 კაცი (ეს ის რაოდენობაა, რომელთაც შეძლეს მისთვლა, ხოლო მათი რიცხვი, ვინც ვერ მოახერხა პროტესტის ხმამაღლა გამოხატვა 10-ჯერ და 20-ჯერ მეტია).

ხალხის ასეთმა რაოდენობამ საგრძნობლად შეაზანზარა ხელისუფლების სიმტკიცე სადღაც გაქრა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთათვის ჩვეული, ცინიზმით გაჟღენთილი დიდაქტიკური ტონი. გაქრა, რადგანაც მათ ძალიან კარგად იციან, თუ რა შეუძლია „გაბრაზებულ ხალხს“. გაქრა, რადგანაც შეეშინდათ. შეეშინდათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი „საკუთარმა ხალხმა გარიყა“.

ვინ-ვინ და ბოკერიამ სხვაზე უკეთ იცის, რომ „ნაციონალისტური მოძრაობისო“ სიით გასულ დეპუტატებზე დაყრდნობა არ შეიძლება არ შეიძლება რადგან ამ დეპუტატებს ქართველ ხალხში არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნიათ. ავტორიტეტი კი არა და საზოგადოებამ მათი გვარებიც არ იცის (შესახედაობაზე, რომ არაფერი ვთქვაძ.

პრეზიდენტმა განცხადება კვირას, 4 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე გააკეთა.

თვით ყველაზე უცნაური ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი ვერ წარმოიდგენდა პრეზიდენტის პასუხში გამოთქმულ აზრებს. მე არ მოვყვები მისი გამოსვლის განხილვას, რადგანაც ეს გამოსვლა უკვე საკმაოდ ბევრჯერ გაირჩა, როგორც ტელეეთერებში, ასევე პრესის ფურცლებზე. უბრალოდ ვიტყვი, რომ მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი არაჯანსაღი დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნების მიმართ.

იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადა ხალხისთვის, იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სასწრაფოდ დაეწყო კონსულტაციები ოპოზიციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პრეზიდენტმა საშინელი ტყუილები ილაპარაკა და მეორე საპრეზიდენტო ვადაში განსახორციელებელ „წარმატებებზე“ ისაუბრა (ნამდვილად არანორმალური ფაქტია. ხალხი მის გადადგომას მოითხოვს,ის კი მეორეჯერ არჩევის შემდეგ ახალ-ახალ „სასიკეთო ძვრებს“ გვპირდებაძ.

## იმპერატორი, რომელსაც სახელმწიფოს მართვა თამაში ეგონა!

საოცარი დამთხვევა მოხდა იმ საღამოს „რუსთავი 2“-ის ეთერში. ვახტანგ სანაიას გადაცემის შემდეგ მაყურებელმა იხილა ფილმი „მატყუარა, მატყუარა“, ხოლო რაც შეეხება თავად გადაცემის, იქ მოწვეულმა „ფრიად ჭკუასაკითხავმა“ სტუმრებმა „უძლიერესი არგუმენტებით საერთოდ გააცამტვერეს“ ხალხისა და ოპოზიციის მოთხოვნები.

„ჯეოსტარის“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქალბატონმა მარინამ განაცხადა, რუსთაველზე მისულ 120 000 კაცს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ფილარმონიაში მიმდინარე „ჯეოსტარის“ მორიგ კონკურსზე 2000 ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო მონაწილეთა მხარდასაჭერად 15000 სმს მოვიდაო. (ქალბატონი მარინასა და მის მსგავსად მოაზროვნე ადამიანების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ 15000 სმს სულაც არ ნიშნავს 15000 ადამიანს, რადგან ასეთი ღონისძიებების დროს, ერთი მობილური ტელეფონიდან, სულ ცოტა 10 სმს იგზავნებაძ.

და ბოლოს:

როგორც ჩანს გიგა ბოკერიამ, გივი თარგამაძემ და საპარლამენტო უმრავლესობის სხვა ლიდერებმა, ქალბატონი მარინას მსგავსად ვერ გაიგეს თუ რა სურს საქართველოს მოსახლეობას და რამ ააღელვა ამდენი ხალხი.

ხალხს ნამდვილი, ქართული, ქრისტიანული, დემოკრატიული და ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება უნდა, ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც ქართველი ისწავლის ქართულად, იამაყებს ქართველობით და იზრუნებს საქართველოზე.

**გია გაბრიჭიძე**

***P. S. ძალიან კარგი სარეკლამო რგოლი გადიოდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, ზუსტად ისეთი სარეკლამო რგოლი, რომელიც არა მარტო ჩინეთის უკანასკნელ იმპერატორს შეეხებოდა, არამედ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტსაც.***

*გ. გ.*

## ფიქრები

# სამეგრელო ვანდეა არ არის

**(მესამე გვერდიდან)**

საიდან გამახსენდა: ერთხელ, მგონი, ბერლინის კრიზისის დროს, დაუვიწყარი ნიკიტა ხრუშჩოვი, მარშლის ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა პლენუმზე, თავისი პოლიტბიუროიანად, რათა ამერიკელები შეეშინებინა: მიფრთხილდით, გიჟი ვარ, ომს დავიწყებო.

მაგრამ დავუბრუნდეთ სამეგრელოს.

28 ოქტომბერს, ზუგდიდში, „უცნობმა პირებმა“ გაერთიანებული ოპოზიციის მშვიდობიანი მიტინგის დასრულების შემდეგ სასტიკად სცემეს და მძიმე დაზიანებები მიაყენეს პარლამენტის წევრებს. ხელისუფლებამ, ნამუსის მოსაწმენდად თუ ანტიოპოზიციური აქტივობის მოსახლეობისათვის მისაწერად, დარბევის 7 აქტივისტი დააკავა, რომელთაგან ორს 20-დღიანი თავისუფლების აღკვეთა და ფულადი ჯარიმა დააკისრა, დანარჩენებს კი მხოლოდ ფულადი ჯარიმის გადახდა აკმარა.



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი ჩხეიძის კვალიფიკაციით, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით დაახლოებით 7 წლიდან ზევით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბ-ნი გიორგის აზრით, უნდა დამდგარიყო ასევე იქ მყოფი პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხიც, რადგან მათ ამ ფაქტზე რეაგირება არ მოახდინეს. დღემდე გაურკვეველია, თუ რატომ არ დაიწყეს სისხლის სამართლის წესით გამოძიება და იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა („საქართველოს რესპუბლიკა“ №209, 01.11.2007ძ.

გაურკვეველი აქ არაფერია: დარბევა ხელისუფლების ორგანიზებული იყო და თავის თავს ხომ არ მისცემდა პასუხისგებაში?! თანაც, მერე რა, პარლამენტარებს სცემეს, უმრავლესობის წევრებისთვის ხომ არ უცემიათ, უმრავლესობის წევრები ზოგჯერ თვითონ სცემენ ოპოზიციონერ პარლამენტარებს და ამისათვის ვის მოუთხოვია მათთვის პასუხი?! მით უმეტეს, რომ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის „მოადგილე“ გიგა ბოკერია საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: „ოპოზიციის აქციები ზუგდიდის გამოკლებით ყველგან მშვიდობიანად ჩატარდა, რადგან პოლიცია მობილიზებული იყო და წესრიგს იცავდა. მაგრამ, სამწუხაროდ (საწყალი, როგორ წუხს! - **ო.ხ.**ძ, ზუგდიდში აქციის დასრულების შემდეგ პოლიცია ცოტათი მოდუნდა, შეტაკებებს ყურადღება არ მიაქცია“.

გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლის კონსტანტინე გამსახურდიას მოწმობით, ზუგდიდში მშვიდობიანი აქციის სიახლოვეს გურამ დონაძე შეამჩნიეს, რომელიც თეთრი ფერის ავტომანქანით მოძრაობდა და თან პოლიციასა და ნაციონალური მოძრაობის წევრებს მითითებებს აძლევდა. ბ-ნი კონსტანტინე აბსოლუტურად გამორიცხავს დარბევაში ზვიად გამსახურდიას მომხრეების მონაწილეობას. მისი თქმით, აქციის მსვლელობისას, ყოველი 20-25 წუთის განმავლობაში, ხდებოდა პროვოკაციები, რომლებსაც დათა ახალაიას მიერ შეგზავნილი ჯგუფები და ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის „ზონდერბრიგადები“ ახორციელებდნენ („რეზონანსი“ 30.10.2007ძ.

დარბევაში რომ ხელისუფლებას აქვს ხელები გასვრილი, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ მთავარი აქ ეს არ არის. მთავარია, რატომ ცდილობს იგი, ამ სიბინძურის სამეგრელოს წესიერი ადამიანებისათვის მიწერას და ამით რეგიონის მთელი მოსახლეობისა და მისი მენტალიტეტისათვის სახელის გატეხას?

ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის მახვილი შენიშვნით, ზუგდიდში გადაცმული სპეცრაზმელების მიერ ოპოზიციის დარბევის დროს, „თავდამსხმელები, როგორც ჩანს, იმის დემონსტრირებას ცდილობდნენ, რომ სპეცრაზმს კი არა, ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ“ (გაზ. „რეზონანსი“, 30.10.2007ძ.

პოლიტიკურად ბნელი ადამიანები საქართველოს ყველა კუთხეში არიან. მაგრამ, საბედნიეროდ, გონებანათელნი ყველგან უმრავლესობას წარმოადგენენ. ამ მხრივ არც სამეგრელოა გამონაკლისი. შემთხვევითი არ არის, რომ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის ავანგარდში დღეს მისი გონიერი შვილებიც დგანან. ისინი წარმოადგენენ სამეგრელოს და არა ბოკერია-უგულავები. სამეგრელო ვანდეა არ არის!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე,
**ინტერნეტით**

**ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს იმ გაუგონარ ბარბაროსობაზეც, რაც მან ჩაიდინა თვითდასაქმებულების მიმართ**



### ◎ მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ...

*რა ვქნა, არ მერიდება ამ სიტყვების თქმისა, არც მეუხერხულება, რადგან ხელისუფლებამ ეს თავად დაიმსახურა. მას რომ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი არ ჰქონოდა და სინდის-ნამუსის ნატამალი მაინც შერჩენოდა, როცა მთელი საქართველო თავზე დაადგა და მის ნაავკაცარ, ქვეყნის დამაქცევარ საქმეებზე ალაპარაკდა, ქილიკი და ქირქილი კი არ უნდა დაეწყო, ჩასვრილი შარვლისა უნდა შერცხვენოდა და იმ კარიდან, საიდანაც ამ ოთხი წლის წინათ სამეფო ტახტზე დასაჯდომად ვარდების თაიგულით და ფეხების ბრაგუნით შემობრძანდა, უჩუმრად გაძურწულიყო.*

*რადგან ეს არ ისურვა, იძულებული ვარ, ყოფილ პარლამენტართან, ქვეყნის მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტთან ანზორ საკანდელიძესთან ერთად, ერთხელ კიდევ შევახსენო მთავრობას მის მიერ ნაკეთები „საქმენი საგმირონი“, რომლის წყალობით მოახერხეს მოკლე დროში დაესამარებინათ საქართველოს ეკონომიკა, მოესპოთ და გაენადგურებინათ მცირე და საშუალო მეწარმეობა, უმუშევრად და ულუკმაპუროდ დაეტოვებინათ მილიონობით ადამიანი, რომლებიც სიღატაკისთვის არიან განწირულნი.*

*ამ გაუგონარი სიავკაცის ფონზე პრეზიდენტ სააკაშვილს და პრემიერ ნოღაიდელს ჰყოფნით გამბედაობა, ხალხ თვალებში ნაცარი აყარონ, უსირცხვილოდ იცრუონ და აცხადონ, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი აყვავებულია, რომ მარტო წლეულს ამ სფეროში დამატებით დასაქმებულია 90 ათასი კაცი. მიღწეულით აღფრთოვანებულია სახელმწიფო მინისტრი ბენდუქიძეც, რომლის განცხადებით, მსოფლიო ბანკმა საქართველო შეიყვანა იმ წარმატებული ქვეყნების ოცეულში (მე-18 ადგილიძ, სადაც ბიზნესი დუღს და გადმოდუღს.*

*ბატონი ანზორ საკანდელიძე სააკაშვილის, ნოღაიდელის, ბენდუქიძის და სხვათა ფანტაზიით განცვიფრებულია: ნუთუ შეიძლება, ქართული ეკონომიკის ქილერებმა იამაყონ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც განვითარებისა და ზრდის საუკეთესო პერსპექტივა აქვს, მთელ მსოფლიოში ჩამორჩენილ და მაჩანჩალა სახელმწიფოდ აქციეს. ისინი ხომ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის მკვლელები არიან?*

# ხელისუფლება უჩუმრად უნდა გაძურწულიყო

**— ხომ არ აზვიადებთ ჩვენი მთავრობის „დამსახურებას“ საკუთარი ქვეყნის წინაშე? — ვეკითხები მცირე მეწარმეთა თავკაცს.**

— რატომ უნდა გავაზვიადო, როცა „მიღწეულიც“ საკმარისია იმისათვის, რომ შინაურმა და საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა მას სათანადო კვალიფიკაცია მისცენ. ბატონი ნოღაიდელი რომ საქართველოს ეკონომიკის მკვლელია, ამაში ისინი საოცრად ერთსულოვანნი არიან. ზოგადი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, კონკრეტულ ფაქტებს მივმართავ.

ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსში ზურაბ ნოღაიდელის ინიციატივით შეიტანეს აბსურდული მუხლი, რომლის მიხედვით ვაჭრობის სფეროს მეწარმეებს დამატებული ღირებულების გადასახადი, ადრე დაკანონებული ფასთა სხვაობის ნაცვლად, დაუწესდათ სასაქონლო ბრუნვიდან, რამაც დიდი პრობლემები შეუქმნა მათ, ხოლო მცირე მეწარმეები პირწმინდად გაანადგურა, რადგან მართვის ასეთი რეჟიმით დღგ-ის გადახდა, უბრალოდ, შეუძლებელია. ჩვენი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, პრემიერმა თავი ქვას შეუშვირა და ეს მუხლი უცვლელად გადმოიტანა 2004 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსშიც. შედეგები, ბუნებრივია, კატასტროფულია და ეს გაუთავებელი „საკასო ომიც“ ამის ლოგიკური დასტურია. თუ მეწარმემ სალარო-აპარატით ბრუნვა ზუსტად აღრიცხა, მისი მომენტალური გაკოტრება გარდაუვალია!

**ეს იცის ყველა რიგითმა მეწარმემ, გარდა ჩვენი „ბრძენი ხელისუფლებისა“, რომელმაც თავის უთავბოლო რეფორმებით ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა ყუამდე დაიყვანა. თავი დავანებოთ მსოფლიოსა და ევროპას, დღევანდელ პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც კი მხოლოდ 2 მაჩანჩალა სახელმწიფო — მოლდოვა და საქართველო დარჩა, სადაც მცირე ბიზნესში ვერა და ვერ დააკანონეს ფისქირებული გადასახადები. შედეგიც ადეკვატურია — ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული ჟურნალის ბოლო მონაცემებით, სწორედ ეს ორი დაგლახავებული ქვეყანაა შესული მსოფლიოს 60 ყველაზე უფრო ღატაკი და არასტაბილური ქვეყნების სიაში.**

მოვიყვან მეორე მაგალითსაც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაკვეთით, ზურაბ ნოღაიდელმა არა და არ გაათავისუფლა დამატებული ღირებულების გადასახადისგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოები, რაც ეკონომიკურად ანგრევს როგორც თავად ამ საწარმოებს, ისე მთელ სოფლის მეურნეობას. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი და უცხოელი ეკონომიკური მკვლელების მიერ სპეციალურად დაგებული მახეა: სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა გათავისუფლებულია დღ-სგან, გადამუშავება კი არა, რის გამოც გადამმუშავებელი საწარმოები ვერ აკეთებენ დღგ-ის ჩათვლას და ეს გადასახადი, რომელიც წესით მომხმარებლის გადასახდელია, ფაქტობრივად ხდება მეწარმის გადასახდელი ბრუნვიდან. მე, როგორც მეწარმეს, კარგად მესმის რას ნიშნავს ასეთი გადასახადი, რომელიც მომენტალურად აკოტრებს საწარმოს.

**რატომ არ ათავისუფლებს მთავრობა მათ ასეთი დრაკონული გადასახადისგან? იმიტომ, რომ ასეთია სავალუტო ფონდის შეფების შეკვეთა და ამას ეწირება ქართული სოფელი, მთელი ჩვენი მოსახლეობა, რომელთა სიღატაკე და გაუსაძლისი ყოფა სწორედ ამ ხელისუფლების სინდისზეა.**

კიდევ ერთი მაგალითი. შარშან, ნოღაიდელის უშუალო ზეწოლით, შეაჩერეს 1999 წელს პარლამენტის მიერ მიღებული ერთადერთი კანონი მცირე მეწარმეობის შესახებ და ლიკვიდაციაში მოაყოლეს ამ კანონით შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა — „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. დღეს საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც არ გააჩნია მცირე მეწარმეობის მარეგულირებელი არც ერთი კანონი და არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა. ამ გაუგონარი ეკონომიკურ დივერსიაზე საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, ზურაბ ნოღაიდელმა პასუხი აუცილებლად უნდა აგოს და აგებს კიდეც!

**ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს იმ გაუგონარ ბარბაროსობაზეც, რაც მან ჩაიდინა თვითდასაქმებულების მიმართ. მსოფლიოს არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში თვითდასაქმებულები არ იბეგრებიან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქვთ მცირე შემოსავალი, რაც მათ საკუთარი თავის სარჩენადაც არ ყოფნით. ასე იყო ჩვენთანაც „ვარდების რევოლუციამდე“, მაგრამ უკანასკნელ წლებში თვითდასაქმებულებსაც მიადგნენ და გადასახადების ამოღების მიზნით დაიწყეს მათი მასობრივი რბევა. საქართველოში ცოდვის კალო დატრიალდა — დამატებით კიდევ 500 ათასი თვითდასაქმებული მიემატა უმუშევრად დარჩენილ, ყოველგვარ სახსარს მოკლებულ ბოგანოთა რიგებს.**

აი, როგორი „დამსახურებით“ აპირებენ ნაციონალები მომავალ არჩევნებზე ქართველი ხალხის წინაშე წარსდგომას, იმ ხალხისა, რომელიც აღსდგა ქვეყნის ეკონომიკის დამაქცევარი, კერძო საკუთრების მრბეველი, უსამართლობისა და განუკითხაობის მთესავი ხელისუფლების წინააღმდეგ და მას დიალოგზე წასვლა, ჩადენილი შეცდომებისა და დანაშაულობების აღიარება და კონსტიტუციურ ვადებში არჩევნების დანიშვნა მოსთხოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, უზნეო ხელისუფლება საკუთარ ხალხთან არავითარ მოლაპარაკებას და კომპრომისს არ დათანხმდა, ალბათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავის სამართლებლად აღარც ძალა შემორჩათ და აღარც სინდისი. პრეზიდენტმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში საქართველო მაღალი ეკონომიკური და დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნად წარმოგვიდგინა და იმაში, რაც დღეს რუსთაველზე ხდება, ხელისუფლება კი არა, პირიქით, ის ხალხი დაადანაშაულა, ვინც ამ უზურპატორული რეჟიმის მსხვერპლია. სწორედ ამაზე იტყვიან, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და გამიშვით თხები მიდიანო.

**ოთარ ხუციშვილი**

### ◎ ინფორმაცია




## უსაქმურნი შეცდომებს არ უშვებენ

**საქართველოს მთავრობის ყველა წევრი ბოლომდე დაიცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, თავისუფლად გამოთქვან აზრი, თუნდაც ეს გულისწყრომის გამოხატვა იყოს...**

**ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ შვეიცარიის პარლამენტის თავმჯდომარესთან ქრისტინა ეგერსზეგ-ობრისტთან შეხვედრის შემდეგ. ხელისუფლებამ კარგად იცის, თუ რა პრობლემები არსებობს საქართველოში და რა არის კიდევ გასაკეთებელი.**

**— ვინც საქმეს არ აკეთებს, შეცდომებს არ უშვებს და მას არც აკრიტიკებენ, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.**

## რა უხარია კრემლს?

**სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მომიტინგეებს უთანაგრძნობს, თუმცა მიიჩნევს, რომ ამით საქართველოში რუსეთის პოზიცია მყარდება.**

**„რაც უხარია კრემლს, ის ჩემს ინტერესებში არ შედის. არ მინდა განმეორდეს ის, რაც 1991 წელს ხდებოდა. მაშინ საქართველოს დანგრევის, შუაზე გახლეჩის მომსწრენი გავხდით. მომიტინგეებს ვუთანაგრძნობ, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ხალხის სოციალური პრობლემის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს, თუმცა მიტინგზე გასვლით რუსეთის ინტერესების გამყარებას არ ვაპირებ“, — აცხადებს გია ბუღაძე.**

ინტერპრესნიუსი

ჯი-ეიჩ-ენი

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

# საით...

● მაგრამ სულ სხვა გამოდგა გაპოლიტიკოსებული დუტა სხირტლაძე, რომელიც თურმე სარფად სულაც არ მიიჩნევს ხალხის, მაყურებლის სიყვარულს, რომელი ხალხიცა და მაყურებელიც დუხჭირი ცხოვრებისგან და უსამართლობისგან შელონებული, მეხუთე დღეა, რაც რუსთაველის გამზირზე გმინავს



◎ ჭირი დანახული ჯობს

# ბიჭი დუტა დაი-ჩუტა...

## გუშინდელი ფოსტიდან

საკუთარ სინდისთან გარიგებაც რომ ურთიერთსარფიანია, ეს აზრი კვირა საღამოს „რუსთავი-2"-ის არხზე ცხონებული გიორგი სანაიას ძმის გადაცემის სტუმრებმა და, კერძოდ, მეკლიპე და მერეკლამე მსახიობ დუტა სხირტლაძის გაპოლიტიკოსებამ გამიჩინა...

ეს კაცი რომ საკუთარ სინდისთან გარიგებულია, თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ ხან „ჯეოსელის" სამსახურშია და ხანაც „მაგთიკომის" რეკლამირებისათვის იკლავს თავს. ესე იგი, ვინც მეტს უხდის, იმას ემსახურება, თანაბრად, ერთნაირი მონდომებით, სულაც არ იმჩნევს სინდისთან მორიგებასა და ხელშეკრულების დადებას. ასე იქცევა მსახიობი დუტა სხირტლაძე. მსახიობისთვის, როგორც ჩანს, მთავარია, სარფა იყოს, თორემ გინდ ერთდროულად „ბილაინსაც" ჩართავს თავის სარეკლამო კლიპებში.

მაგრამ სულ სხვა გამოდგა გაპოლიტიკოსებული დუტა სხირტლაძე, რომელიც თურმე სარფად სულაც არ მიიჩნევს ხალხის, მაყურებლის სიყვარულს, რომელი ხალხიცა და მაყურებელიც დუხჭირი ცხოვრებისგან და უსამართლობისგან შელონებული, მეხუთე დღეა, რაც რუსთაველის გამზირზე გმინავს.

როგორ ვიფიქრებდით, რომ ეს ჩვენი პატარა შვილებისა და შვილიშვილების ბრძნული ქართული ზღაპრებით ჩამძინებელი დუტა სხირტლაძე მარტო ერთ მხარეს, ამ შემთხვევაში ხალხის წინაშე აშკარად ცოდვილი ხელისუფლების მხარეს დაიჭერდა და იმ უხეირო ფურს დაემსგავსებოდა, რომელმაც ზიარად მთელი ქვეყნისა და მთელი ხალხისთვის რაც აქამდე იწველა, ასე დაუფიქრებელი ერთი წიხლის კვრით (უფრო სწორად, მაგიდაზე ხელის დაბრახუნებითა და „ამათი დედა ვატირე"-ს შეძახილით) დააქცევდა! არადა, მეზღაპრე დუტა სხირტლაძისთვის და, ალბათ, საერთო საქმისთვისაც ბევრად აჯობებდა, რომ, ჩვენი ძველი ზღაპრების სიბრძნიდან გამომდინარეს, ერთი თხისკენაც ეთქვა და ერთი მგლისკენაც. ასე ცალმხრივად არ გარიგებოდა საკუთარ სინდისს და საბჭოურად მოაზროვნე ბრიყვი, სულელი და რეგვენი არ ეწოდებინა სრულიად საქართველოდან თბილისში, ჩვენს დედაგამზირზე თავმოყრილი აურაცხელი ადამიანისთვის, რომელთაც საქართველოს მოქალაქეები ჰქვიათ და რომელ-



თა ღია ცისქვეშ ხუთდღიანი დგომა თურმე ყველაზე მეტად იმის გამომხატველია (როგორც ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმაც აღნიშნა), რომ ჩვენს ქვეყანაში უნაპირო და უკიდეგანო დემოკრატიაა.

და თუკი მართლა ასეა, მაშ, თუნდაც მარტო ამისთვის ეკუთვნით ამ სამართლიანობისთვის თავგადადებულ ადამიანებს ყველა ჩვენგანის და უწინარესად კი თვითონ ხელისუფლების მხრიდან გაგება და პატივისცემა, რადგან საქართველოში სააკაშვილის პრეზიდენტობის ოთხი წლის მანძილზე პირველად სწორედ ახლა დაუნახავს მთელ მსოფლიოს, თუ რა დონეს მიაღწია ჩვენში დემოკრატიამ, სიტყვის თავისუფლებამ და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხმა.

შენ კი დამდგარხარ, დიდად და ფრიად სამწუხაროდ, ხალხისკენ ქვის მიმგორებელო დუტა სხირტლაძევ და მარტო მგლის მხარე დაგიჭერია, ამიტომ უნდა იცოდე, რას ამბობდა გუშინ რუსთაველის გამზირზე აქამდე შენი პატივისმცემელი მაყურებელი შენზე, როგორც გაპოლიტიკოსებულ მსახიობზე, რომელმაც საშინლად გაიიაფა თავი ხალხის სამართლიან თვალში: დუტამ თავი გაიბატიბუტა, ბიჭი დუტა დაი-ჩუტა!..

**ანზორ ქუთათელაძე,**

**რუსთაველის გამზირიდან**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე




# მატვეი განაპოლსკი: არ მინდა, სააკაშვილი დაადგეს პუტინის გზას, რომელიც აცხადებს, რომ საზოგადოების ნაწილი, რომელიც მასთანაა, მისი ხალხია, საზოგადოების ნაწილს კი, რომელიც მას მხარს არ უჭერს, პრაქტიკულად, ვერ ამჩნევს

***საქართველოში მიმდინარე გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი" საქართველოსადმი კეთილგანწყობით გამორჩეულ „ეხო მოსკოვისა" და „RTVI"-ს ჟურნალისტს მატვეი განაპოლსკის ესაუბრა.***

**— ბატონო მატვეი, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ოპოზიციის გააქტიურებას, თბილისში მიმდინარე ოპოზიციის აქციას?**

— ის, რომ საქართველოს ხელისუფლება აქტიურ დიალოგს არ აწარმოებს დემონსტრანტებთან და ოპოზიციასთან, ეს მე მაშფოთებს. შევარდნაძე იმიტომ გადააყენეს ძალდატანებით, რომ არ იმყოფებოდა დიალოგში ოპონენტებთან და საზოგადოებასთან. თბილისში მიმდინარე ოპოზიციის აქცია ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა. ის, რომ საქართველოში საჯაროდ არსებობს ოპოზიცია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. საქართველოში ოპოზიციური ტელეარხის არსებობაც იმის ნიშანია, რომ საქართველოში დემოკრატიული წყობილებაა. ვიდრე ხელისუფლება ძალისმიერი ხერხებით არ დახურავს ოპოზიციურ ტელეარხს და ძალისმიერი ხერხებით არ დაშლის საპროტესტო აქციას, მე გავაგრძელებ იმის მტკიცებას, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა.

რაც შეეხება საკუთრივ დემონსტრაციას და დემონსტრანტთა მოთხოვნებს. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ვამბობ, რომ კარგად ვიცნობ მიხეილ სააკაშვილს. როცა ჩემი ნათესავი ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, ჩვენ რესტორანშიც გვისაუბრია. გარდა ამისა, სააკაშვილს ვესაუბრე მაშინაც, როცა მოსკოვში იყო ვიზიტით და პრეზიდენტ პუტინს შეხვდა. მაშინ ჟურნალისტებს ამის საშუალება გვქონდა. სააკაშვილი საინტერესოდ საუბრობდა საქართველოში არსებულ ვითარებაზე, იმ აუცილებელ ნაბიჯებზე, რომლებიც ქვეყანას უნდა გადაედგა ქვეყნის გასაერთიანებლად და საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად. მაშინ ლიბერალურად განწყობილმა რუსეთმა მხარი დაუჭირა სააკაშვილს და დღეს მას ფრთხილად აკრიტიკებენ.

თავს არ მივცემ უფლებას, გავარჩიო, რას აკეთებს სააკაშვილი სწორად და რას — არა. უდავოა, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, როგორიც მას მართებულად მიაჩნია. ოპოზიციაც იმიტომ არის ოპოზიცია, რომ თავისი გეგმით მოქმედებს.

გუშინ, როცა თბილისის ქუჩებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 100 ათასი დემონსტრანტი გამოვიდა და თავისი უკმაყოფილება გამოთქვა ხელისუფლების საქმიანობის მიმართ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებები, რომ არაფერი არ ხდება და მასზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. მე მინდა ვთქვა, რომ ქუჩაში 100 ათასი მოქალაქის გამოსვლა სულაც არ არის უმნიშვნელო რამ.

არ გავკადნიერდები და არ დავუწყებ პრეზიდენტ სააკაშვილს იმის სწავლებას, რა მექანიზმები უნდა აამოქმედოს დიალოგის წარმოებისთვის, მაგრამ მე არ მინდა, პრეზიდენტი სააკაშვილი დაადგეს პრეზიდენტ პუტინის გზას, რომელიც აცხადებს, რომ საზოგადოების ნაწილი, რომელიც მასთანაა, მისი ხალხია, საზოგადოების ნაწილს კი, რომელიც მას მხარს არ უჭერს, პრაქტიკულად, ვერ ამჩნევს.



მე ვაღიარებ სააკაშვილის წვლილს საქართველოს საზოგადოების მოდერნიზაციისა და დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებაში. იმის თქმა, რომ სააკაშვილს არაფერი გაუკეთებია, რომ საქართველო ისეთივეა, როგორიც იყო შევარდნაძის დროს — სიცრუე იქნებოდა.

მე ასევე ვბედავ ვამტკიცო, რომ საზოგადოებასთან დიალოგის არქონას, იმაზე მეტად ცუდი შედეგები მოჰყვეს, ვიდრე ჩანს.

როცა ქუჩაში 100 ათასი მოქალაქე გამოდის, ეს ქვეყანაში დიდი პრობლემების არსებობაზე მიუთითებს. მე პოლიტიკოსი არ ვარ, ჟურნალისტი ვარ და მინდა გავაშუქო, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მოქმედება. მაგრამ, როგორც ადამიანს, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო და გულშემატკივრობს მას, მსურს, ხელისუფლებამ საზოგადოებასთან დიალოგი დაიწყოს.

**— ბატონო მატვეი, როგორ შეაფასებდით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის აქტიურად ჩართვასა და მონაწილეობას?**

— მე არ შემიძლია ვიმსჯელო იმაზე, თუ რა როლს თამაშობს ბადრი პატარკაციშვილი ქართულ პოლიტიკაში, ვინაიდან მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ვიცი, რომ პატარკაციშვილი აფინანსებს სატელევიზიო არხს, რომლის საშუალებითაც მე საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ვიგებ.

მე სხვაგვარადაც შემიძლია ვთქვა, პატარკაციშვილი აფინანსებს ტელეარხს, რომლის საშუალებითაც მე მაქვს საშუალება, მოვისმინო არა ოფიციალური, არამედ ალტერნატიული აზრი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

ამის გამო მე ვაღიარებ მის დამსახურებას საქართველოში, სხვა მისი საქმიანობის შესახებ მე არაფერი ვიცი და, შესაბამისად, ვერაფერს ვიტყვი.

SIC!

• გენმოდიფიცირებულ მცენარეებს არამდგრადი სოფლის მეურნეობისკენ მივყავართ, რომლის დანერგვა კიდევ უფრო გაამწვავებს მონოკულტურული სოფლის მეურნეობის შედეგად წარმოქმნილ ეკოლოგიურ პრობლემებს



# ღვთის მიერ შექმნილ სამყაროს გენმოდიფიცირება არ სჭირდება!



## საქართველო უნდა გამოცხადდეს გენური ინჟინერიის გზით მიღებული ორგანიზმებისა და საკვებისაგან თავისუფალ ქვეყნად!

**მეოცე საუკუნემ სხვადასხვა სიკეთესთან ერთად ბევრი უბედურებაც მოიტანა, თუნდაც იგივე ატომის აღმოჩენით, მაგრამ გენური ინჟინერიის მსგავსი ბოროტება ჯერ არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში.**

ყველაზე გამოცდილ მეცნიერსაც კი არ ძალუძს იმის განჭვრეტა, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანსა და ბუნებას ტრანსგენების გამოყენებამ. ვინაიდან ცნობილია, რომ გენების ერთი ორგანიზმიდან მეორეში გადანაცვლება იწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს. მაგალითად, როდესაც ორაგულს ზრდის ჰორმონის გენი გადაუნერგეს, თევზი არა მარტო სწრაფად იზრდებოდა, არამედ გამწვანდა კიდეც.

1996 წელს აშშ-ის ნებრასკას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბრაზილიური კაკლიდან ალერგენი გადაიტანეს სოიოში (როდესაც დაგეგმილი იყო სოიოში ცილების რაოდენობის გაზრდაძ. ახალმა სოიომ კი გამოიწვია ალერგიული რეაქციები იმ ადამიანებში, რომლებსაც ალერგია ჰქონდათ კაკლის მიმართ.

საკვებში ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი გენების არსებობამ შესაძლოა შეამციროს ანტიბიოტიკების ეფექტიანობა მკურნალობის პროცესში.

მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ერთ-ერთმა იაპონურმა ფირმამ საკვები დანამატების წარმოებაში გამოიყენა გენმოდიფიცირებული ბაქტერია, რომელიც აშშ-ში გაიყიდა. შედეგმაც არ დააყოვნა და დაიღუპა 40 ადამიანი, 1 500-ს კი სისხლის დაავადება აღმოაჩნდა. პროდუქტი სავაჭრო ქსელიდან სასწრაფოდ ამოიღეს, ლაბორატორია დაიხურა, პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები კი განადგურდა.

გენმოდიფიცირებულ მცენარეებს არამდგრადი სოფლის მეურნეობისკენ მივყავართ, რომლის დანერგვა კიდევ უფრო გაამწვავებს მონოკულტურული სოფლის მეურნეობის შედეგად წარმოქმნილ ეკოლოგიურ პრობლემებს.

მცენარეების გენური მანიპულირება ორი მიმართულებით მიმდინარეობდა და ორი სახის კულტურები გამოიყვანეს: ჰერბიციდებისადმი მდგრადი და მავნებლებისადმი მდგრადი ხეები.

აშშ-ში წარმოებული გენმოდიფიცირებული მცენარეების უმრავლესობას ჩანერგილი აქვს გარკვეული სახის ჰერბიციდებისადმი გამძლეობის უნარი. გენეტიკური ინჟინერიით მიიღეს სიმინდი, სოიო, კანოლა და სხვანი, რომლებიც ქიმიური პესტიციდების მაღალ დოზებს უძლებენ. ჰერბიციდებისადმი მედეგი კულტურების გამოყენება მინდვრებში ჰერბიციდების გამოყენებას ზრდის (2-5-ჯერძ. ამიტომ მინდვრებზე ძალიან დიდი რაოდენობით ჰერბიციდები აღმოჩნდება. შესაბამისად მეტი რაოდენობით ქიმიკატები ხვდება წყალში, გარემოსა და საკვებშიც, რაც ზრდის სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების რისკს. თუ ჰერბიციდებისადმი მდგრად მცენარეთა მოშენების ტენდენცია შენარჩუნდა, ჰერბიციდების რეჟიმმა შეიძლება გააძლიეროს სარეველების შემცირება, რომელშიც შედის ისეთი ჯიშები, რომლებიც წარმოადგენენ კვების წყაროს მრავალი უხერხემლო ცხოველის, ძუძუმწოვრისა და ფრინველებისთვის. ამრიგად, სარეველების კონტროლმა შესაძლოა გამოიწვიოს ტოროლას გადაშენება 20 წელიწადში. ორი სახეობის სარეველა, რომლებიც წარმოადგენენ ველური სამყაროსთვის მნიშვნელოვანი საკვების წყაროს, ნახევარ საუკუნეში სრულიად გაქრება.

მცენარეებში უცხო გენის ჩასმა შეიძლება ცხოველებისთვის მავნე აღმოჩნდეს. მაგალითად, გენმოდიფიცირებული თამბაქო ან ბრინჯი, რომლებიც პლასტიკატებისა და სამკურნალო საშუალებების წარმოებისთვის მოჰყავთ, მავნეა მღრნელებისა და იმ ცხოველებისთვის, რომლებიც მოსავლის აღების შემდეგ მინდორში დარჩენილი მცენარეებით იკვებებიან.

1999 წელს კორნელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გენური ინჟინერიის გზით მიღებული Bt – სიმინდის მტვერს შეეძლო პეპელა მონარქის მოკვლა. ასევე, Bt – მცენარეები გავლენას ახდენდნენ სასარგებლო მწერებზეც, მაგ.: ჭიამაიაზე. ე. ი. მავნებლების გარდა Bt – მცენარეები დაუნდობლად მოქმედებენ არასამიზნე მწერებზეც. იგი შეიძლება მავნე და ალერგიული იყოს ადამიანისთვისაც.

ხშირად გენური ინჟინერია ვირუსებისადმი მდგრადი მცენარეების შესაქმნელად გამოიყენება, რისთვისაც მცენარეში ხელოვნურად შეაქვთ ვირუსების გენები. ამ კომპონენტების შემცველი მცენარეები ვირუსების მოქმედების მიმართ მდგრადები ხდებიან. შესაძლებელია ეს ახალი გენები სხვა ვირუსების გენებთან კომბინაციაში შევიდნენ, რომლებიც მცენარეებში ბუნებრივი გზით ხვდებიან. შედეგად წარმოიშობა ახალი, დღემდე უცნობი ვირუსები, რომლებიც შეიძლება ძალზე საშიში აღმოჩნდეს ადამიანისთვის.

გენური ინჟინერიის გზით მიღებულმა ახალმა ნივთიერებებმა შესაძლოა გამოიწვიონ მცენარეებში ტოქსინების შემცველობის ზრდა.

გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, როგორც ყველა სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, აქვთ გამრავლების, გადაადგილების და მუტაციის უნარი. გენმოდიფიცირებული მცენარეების მტვერი ვრცელდება ქარის, ფრინველებისა და მწერების საშუალებით, რაც ბუნებაში ახალ ველურ „ბიოტექნოლოგიურ“ მცენარეებს შექმნის. მათი უკან გამოწვევა ბუნებიდან კი უკვე შეუძლებელი იქნება და ისინი „გენეტიკური დაბინძურების“ მუდმივ წყაროდ გადაიქცევიან.

იხ. 12 გვ.



# ექსპერტ-პროვოკატორი ედუარდ აბრამიანი...

ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ,
გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა ... და გათიშვა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც, სადაც წავწვდი, ერთიანად მოვთხარე!...

მურმან ლებანიძე

**პატიოსნება ყველგან და ყველაფერშია საჭირო. განსაკუთრებით თუ მეზობელი ხალხის აწმყოსა და წარსულის განსჯას ხელს კიდებ და თანაც ამ საქმის ექსპერტად მოგაქვს თავი. ამ დროს კეთილსინდისიერება ცოდნას ლამპარივით უნდა უნათებდეს გზას.** ზედმიწევნით არის საჭირო ცოდნა იმ ერის ეთნოკულტურის, ისტორიისა და ეროვნული ხასიათისა, რომელიც კვლევა-ძიების საგნად გაგიხდია. სამწუხაროდ, ახლახან ინტერნეტში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ ცენტრ „კავკასიის“ ექსპერტის ედუარდ აბრამიანის სტატია – „საქართველოს ეთნოკონფესიონალური პოლიტიკა და ქართველური ხალხები“ აღნიშნულ მოთხოვნას, რბილად რომ ვთქვათ, ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ, მასში გამოცემული ავტორის აზრები, ნებსით თუ უნებლიეთ, პროვოკაციად აღიქმება. განა პროვოკაცია არ არის იმის განცხადება, თითქოს საქართველოს მთავრობა ატარებს მონოეთნიზაციას ქვეყანაში, რის შედეგადაც 2002 წელთან შედარებით თურმე მკვეთრად დაეცა არაქართველთა რიცხვი საქართველოში. კერძოდ, ქვემო ქართლში – აზერბაიჯანელების, სამცხე-ჯავახეთში – სომხების. სამაგიეროდ მათი შემცირების ხარჯზე ფართოდ გაიზარდა ქართველთა რიცხვი ამ რეგიონებში.

ეს არის მტკნარი სიცრუე, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ბოლო ოც წელიწადში თითქმის ორ მილიონამდე მოქალაქეა წასული საზღვარგარეთ საქართველოდან. რა თქმა უნდა, მათ შორის არიან სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და ა.შ.ნეტავი რაში ხედავს აბრამიანი მონოეთნიზაციას – იმაში ხომ არა მიწისძვრით დაზარალებული აჭარლები და სვანები რომ ჩამოასახლეს ამ მხარეში. ეს იყო იძულებითი შინამიგრაცია. ერთი კუთხის მცხოვრებნი მეორე კუთხეში გადაიყვანეს, რითაც ეროვნული თვალსაზრისით საერთო ბალანსი არ დარღვეულა. მონოეთნიზაცია იქნებოდა მაშინ ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან გაენდევნათ სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა და მათ ადგილას ქართველები დაესახლებინათ, როგორც ეს მოხდა სომხეთში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ერთ კვირაში ვანდალურად გააძევეს ათასობით აზერბაიჯანელი და მათ ადგილას დაასახლეს სომხები. თუ გნებავთ, აი, ეს არის ხელოვნური მონოეთნიზაცია, რითაც თავი მოაქვთ.

ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც შემდეგ გვთავაზობს ეს ე. წ. ექსპერტი: „ერთი მხრივ მეტროპოლიასა და მეორე მხრივ – მეგრელებსა, სვანებსა და აჭარლებს შორის ეთნოკულტურული ანტაგონიზმს კარგა ხნის ისტორია აქვს“. ბატონ აბრამიანს ისინი ქართველებად არ მიაჩნია, რადგან „მათი მსოფლმხედველობა დამოუკიდებლად, ცალკე ჩამოყალიბდა და განვითარდა“. მათ სხვა ხალხებად თვლიან თურმე თბილისელი, კახელი ქართველები და კავკასიის არაქართველი ერებიო. ეს გალიმათია არახალია, ძველია და სომეხ ექსპერტ-პროვოკატორს XIX ს-ის რუს ქართველთმოძულე, რეაქციონერ კატკოვებისა და ვოსტორგოვების „შემოქმედებიდან“ აულია. მას არაერთგზის გასცეს მეცნიერული პასუხი ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ამიტომ, ზედმეტად მიმაჩნია ვუმტკიცო ამ ოცდამეერთე საუკუნის ერთად აღებულ ხუდაბაშოვს და ეზოს სვანების, მეგრელების და, მით უფრო, აჭარლების ქართველობა. ეს ისედაც ნათელი და გასაგებია იმათთვის, ვისაც ამის გაგება უნდა, ვისაც არ სურს გაიგოს, ის არც შეისმენს, რადგან აბრამიანივით შურით და სიძულვილით არის გასიებული ქართველი ერის მიმართ. განა აბრამიანმა არ იცის, რომ ცრუობს, მაგრამ შეგნებულად ტყუის და ამით ერთგულებას უცხადებს რუსეთის სპეცსამსახურებს, რისთვისაც კარგად უხდიან.

ბ-ნ აბრამიანს გულში ეკლად ესობა შინამიგრაცია საქართველოში. იგი გაცხარებულ წერს – ქართველების ჩასახლებით ნინოწმინდის რაიონში მთავრობა ხელოვნურად გამოყოფს აქაურ სომხურ მოსახლეობას სომხეთისგანო. თუნდაც ასე იყოს, რა, საქართველოს არა აქვს უფლება ქართულენოვანი სასაზღვრო ზონა შექმნას სომხეთთან? რა, ამისთვის სომხეთის მთავრობის ნებართვაა საჭირო?... მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან მარხია. ბ-ნ აბრამიანს ჯავახეთი ისტორიული სომხეთის მიწად მიაჩნია და გულში მისი სომხეთთან მიერთება ძალიან ენიაზება. ეს თუ არა, ავტონომია მაინც ძილშიც არ ასვენებს ალბათ, აი, ამიტომ არ ეჭაშნიკება ქართველთა მომრავლება ძირძველ ქართულ მხარეში, რადგან ამ საქმეში ხელისშემშლელ ფაქტორად თვლის.

რა შეიძლება ვუწოდოთ თუ არა პროვოკაცია აბრამიანის განცხადებას – თითქოს მთავრობა ქვემო ქართლში ქართველებს სამჯერ მეტ მიწის ფართობს აძლევს, ვიდრე აზერბაიჯანელებს, როცა ამ უკანასკნელებს გაცილებით მეტი საქონელი ჰყავს, ვიდრე ქართველებსა და სომხებს ერთად აღებულს.

იხ. 12 გვ.

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

# წარსული

**ჰგონიათ, რომ სტალინური რეპრესიები დაიწყო 1934 წლის პირველ დეკემბერს კიროვის მკვლელობის მერე. სინამდვილეში ისინი იქცნენ სახელმწიფოს მშენებლობისაკენ მკვეთრი მობრუნების ანარეკლად**



**სხვა გაზეთებიდან**

# ვინ მოაბიჯებს მანდ მარცხენით?

## შედგება კი მეოთხე რუსეთი?

შედეგად სამოქალაქო ომი მოიგეს სწორედ წითელმა რაზმებმა, პროვინციული რუსეთიდან რეკრუტირებულებმა. და როცა ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა, ათასობით ჩაპაიმ დაიკავა საბჭოურ დეპოურ მოხელეთა სავარძლები. წითელი რაზმები იქცნენ ყველაზე აქტიურ და მრავალრიცხოვან ფენად, რომელსაც ხელმძღვანელობდა უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე მოკალათებული ბოლშევიკების თხელი მინაფენი. წითელრაზმელები მემარცხენე რაზნოჩინცელების მსგავსად არ ეთაყვანებოდნენ დასავლეთს, მაგრამ არც შავი რაზმებივით არ განიცდიდნენ მისადმი სიძულვილს.

ისინი ახალგაზრდები, ენერგიულები, სწავლას მოწყურებულები იყვნენ. წითელრაზმელები რომ „ხალხში გამოსულიყვნენ“ მონარქიის დროს, თვითმპყრობელობასა და კერძო საკუთრებაზე კი არ აღმართავდნენ ხელს, არამედ აზნაურობას ჩამოაგდებდნენ და იმის ადგილს დაიჭერდნენ. საბჭოების ხელში რომ „ჰეგემონი“ გამხდარიყვნენ, ადვილად შეეწყობოდნენ იმათაც – საბჭოებს ხომ ძალაუფლების გარდა არცრა აინტერესებდათ. ეგ არის, რომ სულიერ პირველშობილობაში რჩებოდნენ პეტრემდელი რუსეთიდან გამოსულებად, წმინდად ინახავდნენ ეროვნულ ტრადიციებს და ბუნებით იყვნენ სახელმწიფოს მშენებლები.

წითელრაზმელთა ეს განსაკუთრებულობა, წყალდიდობასავით რომ შეავსეს საშუალო დონის ხელმძღვანელი თანამდებობები, ჩინებულად შეისმინა სტალინმა. ისიც გაიაზრა, რომ წითელრაზმელებისათვის სრულიად უცხოა მსოფლიო რევოლუციის იდეა, რომელზეც კომისრები ოცნებობდნენ, – წითელ რაზმებს საკუთარი ქვეყნის მოწყობა სურდათ. ბოლოს, არ შეიძლებოდა იმის გაუთვალისწინებლობა, რომ პეტერბურგული რუსეთისათვის დამახასიათებელმა ეროვნული ფესვებიდან განათლებული ფენების მოწყვეტამ წითელრაზმელებს მკვიდრი არაკეთილგანწყობილება გაუჩინა ინტერნაციონალური მემარცხენე კულტურის მიმართ (მერეჟკოვსკი ამის თაობაზე იხსენებდა, თუ როგორ თქვა 1905 წელს ისაკის ტაძარში ქადაგებისას ვოლინის ეპისკოპოსმა ანტონმა: „რუსულ განათლებულ საზოგადოებას ეჯავრება რუსეთი საერთოდ და უბრალო რუსი ხალხი კერძოდ“ძ. წითელრაზმელთა ჯანსაღი „ნატურალური“ მსოფლშეგრძნება არ ემთხვეოდა მემარცხენე ხელოვნების შერყვნილ მხატვრულ გემოვნებებსა და არასტანდარტულ ჰუმანიზმს.

ეგეც კია, რომ სტალინს პირველს არ გაუაზრებია წითელი რაზმებისა და ლენინური გვარდიის მომავალი კონფლიქტი.1922 წელს „ევროპის დაისში“ შპენგლერი წინასწარმეტყველურად წერდა: „ბოლშევიკები არ არიან ხალხი, იმის ნაწილიც კი. ისინი არიან „საზოგადოების“ უმდაბლესი ფენა, უცხო, დასავლური... ის, რამაც ამ რევოლუციას მისცა გაქანება, აი ის იყო ხალხი, თავისი სასიცოცხლო ფორმის, თავისი რელიგიის, თავისი მომავალი ისტორიის მონატრული“. 1926 წელს მსგავსი აზრები გამოთქვა გ.ფედოტოვმა. დაბოლოს, პლეხანოვი ფიქრობდა, რომ რუსეთის რევოლუციისშემდგომი განვითარების ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება იქცეს პეტრემდელი რუსეთის რესტავრაცია, – ასეთი პროგნოზისათვის ლენინი კიდევაც აკრიტიკებდა.

ამასთან დაკავშირებით ერთობ მნიშვნელოვანია ფრონტელი პოეტის დ.სამოილოვის თვალსაზრისი: „ოცდაჩვიდმეტი წელი გამოუცნობია... 37-ის გამოცანა ისაა, თუ ვინ და ვისი გულისთვის გამოცვალა წინანდელი მმართველი ფენა. ვის ინტერესებში აღსრულდა საყოველთაო თვითგასამართლება, რომელშიც ახლა ისტორიული შურისგების რაღაც ანარეკლის დანახვა შეიძლება. სრული ინდეტერმინისტი უნდა იყო, რომ დაიჯერო, თითქოს სტალინის ძალაუფლების განმტკიცება 37 წლის ერთადერთი ისტორიული მიზანი იყო, თითქოს მას თავისი პატივმოყვარეობის, თავმომწონეობის ძალით შეეძლო რუსეთის ისტორიის მიბრუნება იქით, საითაც მოისურვებდა და 37 წლის საზარელი ფენომენის ერთპიროვნულად შექმნა“.

დიახ, მეორე სამოქალაქო ომი წითელრაზმელ-პეტრემდელთა და ბოლშევიკების სახით წარმოდგენილ პეტერბურგული რუსეთის გადმონაშთთა შორის გარდაუვალი ბრძოლის შედეგი გახდა. სტალინს წილად ხვდა მხოლოდ წითელი რაზმების სათავეში ჩადგომა, რაც გააკეთა კიდევაც მას აქეთ, რაც ოქტომბრის მე-10 წლისთავზე ტროცკის მომხრეები მიუმხრობელთა მარშით გამოვიდნენ. ფილოსოფოსმა ვ.მურავიოვმა ძალიან ხატოვნად განაზოგადა მე-20 საუკუნის რუსეთში გაჩენილი ისტორიული სიტუაცია: „ინტელიგენციამ მესამე ინტერნაციონალის სახით დაგვიბრუნა მესამე რომის იდეალი. ლენინი აღმოჩნდა მოხუცი ფელოფეის სულიერი უკანამორბედი. ვფიქრობ, რომ მესამე რომი მესამე ინტერნაციონალზე ფართო და ღრმაა და ბოლოს და ბოლოს შთანთქავს მას“.

ასეც გამოვიდა.

სტალინმა კარდინალურად შეცვალა ოქტომბრის გადატრიალების მიზნები: მსოფლიო რევოლუციის წაქეზების ნაცვლად ლაპარაკი წავიდა ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაზე. მარქსისტული თვალსაზრისით ეს ცვლილება ტაქტიკური გეგონებოდათ – რთული საერთაშორისო ვითარების გამო. რუსეთის ისტორიის სკალაზე კი ეს გახლდათ პრინციპულად სხვა მდგომარეობაში ქვეყნის გადასვლის მანიშნებელი „კვანტური ნახტომი“. პეტერბურგული რუსეთის გადმონაშთთა მოცილებით სტალინი თითქოს ახორციელებდა ალექსანდრე მესამის ჩანაფიქრს, აერთიანებდა რა ამ რუსეთის დამახასიათებელ ევროპულ განათლებულობას სულიერ ცხოვრებაში ეროვნული ფესვებისადმი ერთგულებასთან, რასაც მოითხოვდნენ პეტრემდელი წითელრაზმელები. შედეგად დასავლური რევოლუციური იდეა ჩვეული სახელმწიფო იდეით შეიცვალა. თეორიული ძიებები სოციალიზმის მშენებლობაზე დე ფაქტო გადაიქცა მარქსიზმის ბალზამირებულ ნეშტად – ვითარცა ლენინის სხეული მავზოლეუმში. ნეშტს ქედს უხრიდნენ, მაგრამ გონებაში მხოლოდ ერთი რამე უტრიალებდათ: მომავალ ომში გამძლე მძლავრი სახელმწიფოს შექმნა.

შემთხვევით როდი იყო, რომ მონარქისტები ესალმებოდნენ ამ პროცესს. ვ.შულგინს უხაროდა, რომ სტალინის ხელში „ჩვენი ქვეყანა მსოფლიო იმპერია გახდა. სწორედ მან მიაღწია მიზანს, რომლისკენაც ილტვოდა რუსების რამდენიმე თაობა. კომუნიზმი ხალივით გაქრება, იმპერია კი დარჩება“. სამაგიეროდ ლენინზე შეხედულებები იყო სხვა. შესაძლებელია, ყველაზე ზუსტად ისტორიაში ადგილი მას მარინა ცვეტაევამ უჩვენა, კრუპთან მარჯვე შედარებით: „კრუპი – ეს გახლავთ ქარხანა. ლენინი – ეს დეკრეტია. ლენინი რევოლუციის გარეთ არ არსებობს, უბრალოდ საგულისხმოც არაა“.

ჰგონიათ, რომ სტალინური რეპრესიები დაიწყო 1934 წლის პირველ დეკემბერს კიროვის მკვლელობის მერე. სინამდვილეში ისინი იქცნენ სახელმწიფოს მშენებლობისაკენ მკვეთრი მობრუნების ანარეკლად. ეს მობრუნება კი ადრე დაიწყო – იდეოლოგიურ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებიდან. იმავე წლის ჯერ კიდევ 15 მაისს ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „სკოლებში ისტორიის სწავლების შესახებ“, რომელმაც გვამცნო ეროვნული ფესვებისაკენ დაბრუნება.

თანამედროვე ცოდნითა და მიღწევებით გამდიდრებული მოდერნიზებული პეტრემდელი რუსეთის აღორძინებაზე აღებულმა კურსმა გააცოფა ძველი ბოლშევიკები. არცაა გასაკვირი: რევოლუცია იმათ სულ სხვა მიზნებით მოაწყვეს. ი. ოდოევცოვა იხსენებდა: „კვირის კრებაზე, რომელიც წრემ „მწვანე ლამპამ“ გამართა, ი. ფონდამინსკი ლაპარაკობდა „ინტელიგენციის ორდენზე“ და ელიტის მსოფლიო მეფობას გვპირდებოდა სულ მალე“. და საერთოდ რა უნდა გქონდეს სათქმელი, თუ 1929 წლის ნოემბერში განათლების სახალხო კომისარიატმა რუსული ალფაბეტის ლათინიზაციის კომისია შექმნა! „ინტერნაციონალისტს მხოლოდ ლათინური ალფაბეტის დაცვა შეუძლია, რადგანაც ის იქნება ძირითადი ყველა ხალხისათვის მომავალი მსოფლიო რევოლუციის დროს“, – ამტკიცებდნენ ამ კამპანიის ინიციატორები. 1930 წელს კომისიამ ეგრევე გამოაცხო კიდევაც დასკვნა: „რუსული სამოქალაქო ალფაბეტი გადმონაშთია. ახალ ალფაბეტზე გადასვლა საბოლოოდ გაათავისუფლებს რუსეთის მოსახლეობის მშრომელ მასებს რევოლუციამდელი ბეჭდვითი პროდუქციის ყოველგვარი გავლენისაგან“.

დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია!

**ანატოლი სალუცკი,**

**Литературная газета**

**(გაგრძელება იქნება)**



**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 209-211.**

**ინფორმაცია**

## ვის წინააღმდეგ იარაღდება სააკაშვილი?

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთობების გარკვევა ეს საქართველოს შიდაპოლიტიკური საქმეა. ბაღაფში აცხადებს, რომ საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარების გართულება აფხაზეთზე, შესაძლოა, არაკეთილსაიმედოდ აისახოს, იმიტომ რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მილიტარიზებული სახელმწიფოა.**

**– ვის წინააღმდეგ იარაღდება სააკაშვილი? – ეს ყველასათვის ნათელია. ამიტომაც ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარების დაძაბვის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობის ყურადღების გადატანას ე.წ. შიდა მტრებზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ეცდება, – აცხადებს სერგეი ბაღაფში.**

## სამი სეპარატისტი ძმის თათბირი...

**სამი სეპარატისტული რესპუბლიკის – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერი – სერგეი ბაღაფში, ედუარდ კოკოითი და იგორ სმირნოვი რუსული სამშვიდობო კონტინგენტის კონფლიქტის ზონებიდან გაყვანის წინააღმდეგნი არიან.**

**რუსულ ტელეარხ „ვესტის“ ეთერში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მას „ეჭვი ეპარება იმაში,“ რომ „ვინმეს დღეს შეეძლოს რუსული სამშვიდობო კონტინგენტის ჩანაცვლება, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მოვალეობებს კეთილსინდისიერად და მკაცრად ასრულებენ“.**

**თავისი აფხაზი „კოლეგის“ მოსაზრებას თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითიც უერთდება და აცხადებს, რომ რუსული სამშვიდობო კონტინგენტი კონფლიქტის ზონებში კონფლიქტების სრულ დარეგულირებამდე დარჩება.**

**დნესტრისპირეთის „პრეზიდენტი“იგორ სმირნოვი კი აცხადებს, რომ მისი აზრით, კონფლიქტის ზონებიდან რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა არამიზანშეწონილია...**

## სტაჟირება რეესტრის სააგენტოში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში სტაჟირების მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო.**

**სტაჟირებისთვის კანდიდატი ტესტირების, კომპიუტერთან მუშაობისა და გასაუბრებისას გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე შეირჩევა.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. მათ დოკუმენტები სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში 16 ნოემბრამდე უნდა წარადგინონ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

**● თითქმის ატირებული მელაპარაკებოდა. რა სამწუხარო საქართველოა დღესო. ვის ხელშია საქართველოო. შენი თავი დამიმალეს. თბილისში მითხრეს, ხალვაში არაა ბათუმშიო. მე სხვას არავის დაველაპარაკე**



## ◎ გულწრფელი წიგნი

ფრიდონ ხალვაში

# ომხი

დოკუმენტური მოთხრობა



ადგა იოსებ ნონეშვილი. არტისტულად მოქარგა ლექსი, ნოდარ დუმბაძემ ცნობილი ლექსი დუტუ მეგრელისა წარმოთქვა. ხიბლი, შემართება გამოანათებინა ლექსს კარლომ. აკადემიური და დახვეწილი იყო არჩილ სულაკაური. მეორე ლექსად ჯერ კიდევ დაუმთავრებელი „მითხარ, როგორაა მემლექეთი“ წავიკითხე. უნდა გითხრათ, იგი სინამდვილის ყველაზე მდუღარე დუღილიდან ამოყვავილდა:

**მითხარ, როგორაა**
**მემლექეთი,**
**ჩემი სანატრელი**
**საქართველო,**
**რამე იმნაირი გამაგონე,**
**გული დაკოდილი**
**გავამთელო.**
**... ლუკმა არ მაკლია,**
**მართალია,**
**მაგრამ სამშობლოთი**
**ღარიბი ვარ.**
**ასე, ამნაირად,**
**უსიცოცხლოდ,**
**მთელმა სიცოცხლემა**
**გაირბინა.**
**მითხარ, როგორაა**
**მემლექეთი, —**
**მცხეთა, ქობულეთი,**
**კახაბერი,**
**იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,**
**მაშინ ერთი წუთიც**
**დამაბერებს...**

აი, ეს მონაკვეთი უკვე მქონდა ფანქრით ჩაწერილი.

10.04.06

ამ დილით, სხვათა შორის, ხელთ მომყვა ლუი არაგონის რუსულად გამოცემული ტომი „Огонь Прометея“. და, აი, შემთხვევით, გადავშალე 339-ე გვერდზე. იქ „Катерина Симонидзе“ (კატერინა სიმონიძე?ძ, როგორც არაგონის ბავშვობის „მანათობელი ვარსკვლავი“ აღმოვაჩინე და ძალიან მოვინდომე გამეგო ვინაა ეს, — კატერინა სიმონიძე. ქართველი ხომ არაა? ლუი არსად არ წერს ამ ქალის წარმომავლობაზე. მაგრამ, როცა 340-ე გვერდზე წავიკითხე იმის შესახებ, რომ ეს ქალი, ბოლოს, თურმე „მთელი თავისი ილუზიებით კავკასიის რომელიღაც ტბაში გადავარდნილა. აი, ეს „კავკასიის რომელიღაც ტბა“ ხომ არაა მინიშნება სიმონიძის ქართველობაზე?

თუ ამ ჩანაწერს რამაზ სურმანიძე ნახავს, იქნებ გამოედევნოს ლუი არაგონის სხვა ჩანაწერებში ხსენებული ქალის სახელს და საიდუმლოც ამოხსნას.

## ... ისევ სტამბოლში ვარ

წამოსვლის დღეც გათენდა. სასტუმრო „კენედის“ კაფეში ჩაის დასალევად შევედით. აი, ერთადერთი მომენტი, როცა ჩემი მოუშორებელი პლაში, ჯიბეში ჩატენილი „გორგვალაით“, — რამდენიმე წუთით ნომერში დამრჩა. გამახსენდა. წამოვიჭერი, ოთახში შევვარდი (საშინელება!ძ ჩვენი ბარგი უკვე გაეტანათ. პლაში?! დერეფანში გავარდი. საკიდარზეა, ვხედავ. მთელი ჩვენი რამერუმეებიც იქვეა. მოვმუჭე პლაშის კალთები თავიდან ბოლომდე. გორგვალაი აღარაა. გადარევას თითქმის აღარა მაკლია რა (თანაც, ვშიშობ, — აი, ალბათ, საცაა ვილაცა ხელს წამავლებს და ბორკილსაც დამადებს-მეთქიძ. სად გაიქცევი, ჯობს თავისუფლად ვიყო, არაფერი შევიმჩნიო, თორემ... ჰოტელის მეპატრონე, ხოშორულვაშა თურქი, მოაჯირზე იდაყვდადებული, ისეთი ეჭვით შემომცქერის... სანამ გახსნიან, ნახავენ, გაერკვევიან. ჯობს თავად... პირდაპირ მივადექი „ბაშბაქანს“ და ჩემი თურქულით დავიწყე ჩივილი, ვილაცამ სუვენირი ჯიბიდან ამომაცალა-მეთქი.

— ფატიმა, ფატიმა! — გადაუძახა დახვავებულ კაბელებს იქით ვილაცას. პასუხს აღარ დაველოდე, ნერვიულობით აცეცხლებულ-აკანკალებული, გადავევლე იმ კაბელების ხვეულს და ერთ ბუჭულიაში შევიჭერი, ალბათ, დამლაგებლის სამყოფელი იყო. ქალი პატარა დგამზე რაღაცას ფურჩქნიდა. ჩემი გორგვალაი ვიცანი. იმწამსვე ვეძგერე, მოხვეულ-მოკოჭილი ძაფები სანახევროდ შეეჩონჩვილებია (ალბათ შიგ რაღაც ძვირფასეულობა ეგონაძ. ხელიდან გამოვგლიჯე, მარა მადლობაც მივუგდე და გარეთ გამოვვარდი.

სანამ თვითმფრინავში ადგილს დავიკავებდი, სულ მელანდებოდა ვილაც მომდევდა. როცა მაღლა ცაში ავიზიდეთ, ჩემთან გვერდით, არჩილ სულაკაური შევამჩნიე. რა გჭირს, რატომ ხარ ასე დაზნეული და აღელვებულიო, მკითხა.

თავი უკვე სამშვიდობოს დავიგულე, ამიტომ არჩილს თითქმის დაწვრილებით გავანდე ყველაფერი. მერე კაგებეს უნდა ჩააბაროო? — მეკითხება არჩილი.

— როგორ ჯობია, ვის ჩავაბარო? — ისე ოდნავ სასხვათაშორისოდ სულაკაურის გასაგონად ჩავილაპარაკე.

— რადგან წამოგილია, ისიც გეცოდინება ვის ჩააბარო, — უცნაური სიდინჯით მიპასუხა.

ცამციშვილი, ვისზე გადაცემაც ახმედ მელაშვილმა ისურვა, აღარ ვახსენე და, საერთოდ, თითქმის ვინანე, რომ გავამხილე ეს ყველაფერი და დავაეჭვიანე კაცი. ეტყობა არსი სწორად ვერ გავაგებინე.

აბა, შენ მითხარი, ორი სამყაროს იმ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების დროში, ჩემისთანა კაცი ასეთ სახლაფორთო, საშიშ რამეს იკისრებდა?

მოსკოვიდან ბათუმში კვირადღეს ჩავფრინდი. ვთქვი, მომავალ კვირაში მწერალთა კავშირს მივადგე და იქ ერთადერთ თავკაცს გავუმხილო საქმის ვითარება.

მოვნახო ამირან ცამციშვილი და...

ორშაბათს, ბათუმის ბინაში, სამი კაცი მომადგა. რაღაცა ჩამოგიტანიათ სტამბოლიდან, უნდა გადმოგვცეთ, ინაური ითხოვსო. ვერ გაგატანთ, მე თვითონ ჩამოვიტან-მეთქი. არაო, დღესვე უნდა წავიღოთო. ავდექი და თავად გავყევი. თვითმფრინავში, ბათუმ-თბილისზე საკმაო ადგილები ჰქონდათ დაჯავშნული. აეროპორტიდან სამინისტრომდე, როგორც პატიმარი, მანქანის უკანა საჯდომზე მომათავსეს, გვერდებზე თითო ჩამომიჯდა, ასე მიმიყვანეს, ილლიაში ამოჩრილი მელაშვილის გამოტანებული „გორგვალაით“. ასე, ჩემი ფეხით, მიმაფაცფაცეს იქ, სადაც მისდღემჩი არც შემიხედია. წინ შემიშვეს. მორიგე ოფიცერი წამოდგა, „ჩესტი“ გაჭიმა და, მიბრძანდი ამხანაგო ხალვაშ, — მიბრძანა (ხალვაშ!ძ ის ორი, ვინაც ბათუმიდან წამომიყვანა, მაღლა „ხაზეინის“ კარებამდე მიმყვა. ინაურს პლიკინა-უთმო თავზე ლამპების სხივები უელავდნენ. მადლობა გამომიცხადა ასეთი „გმირობისათვის“. დაგვიტოვე, ვნახავთ რაა და ვისაც გინდათ ჩვენ თვითონ გადავცემთო. ავუხსენი, ეს ძველია, ისტორიაა. არავითარი ახალი ინფორმაცია არაა, ორასზე მეტი წლის წინანდელია. იგი დოქტორ სერგი ჯიქიას მე უნდა გადავცე-მეთქი (ჯიქიას ავტორიტეტი წამოვიხმარიეძ. არც ამან გაჭრა.

ბატონმა სერგი ჯიქიამ, რამდენიმე დღის შემდეგ ბარათი მომწერა (იგი სადღაც ჩემს პირად ქაღალდებში ინახებაძ. მადლობას მწერს და მაცნობებს, რომ ეს ჯერ უცნობი, დიდმნიშვნელოვანი მონაცემებია მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებო. შევისწავლი, დავამუშავებ, ვთარგმნი და გამოვცემო (მასალა არაბული შრიფტით იყო შედგენილი. გასული საუკუნის ოციან წლებამდე ხომ თურქი არაბულ დამწერლობას იყენებდა). ეტყობა მათთვის საინტერესო ვერარა აღმოაჩინეს და მართლაც გაუგზავნეს ჯიქიას. იქნებ თავად მიუთითეს კიდეც, ბარათი მისწერე, თქვენთან რომააო.

* * *

ახლა რამდენიმე წლით დავწინაურდები და საქართველოში მელაშვილის ერთ ჩამოსვლაზე ძალიან გულსატკენს მოგიყვებით. ზაფხულის კვირადღეა. შინ, ბათუმში, მარტო ვარ. ოჯახობა შვილებით სოფელშია. შუადღისას, ბულვარისკენ გასასეირნებლად წავედი. „ინტურისტში“ შევუხვიე გაზეთების საყიდლად. კიბესთან მისვლამდე, გვერდით „ვოლგამ“ ჩამიქროლა და უცებ უკანა შუშაში ახმედ მელაშვილი ვიცანი. ოდნავ შეჩერდა მანქანა „ინტურისტთან“, მეც ფეხს მოვუჩქარე, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მანქანა ადგილს მოსწყდა და ისევ ქალაქისკენ გასრიალდა. ვუქნიე ხელი, კიდეც ვუძახე, მაგრამ არაფერი. მივადექი მორიგეს, მითხრეს, — კი, ოთარ გიგინეიშვილი ნომერშია და თურქეთიდან სტუმარი ჰყავსო. ტელეფონით დაველაპარაკე ოთარს (არ მოელოდაძ საშინლად გაიკვირვა ჩემი ხმა. ბოლოს, ამოდი ჩემთანო. ავედი, არც გეგმავდა თურმე ჩემს ნახვას. ესე იგი არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ჩემი და მელაშვილის შეხვედრა (ეს უცნაური სისულელე რას ნიშნავდა ახლაც ვერ გამირკვევიაძ.

გამოდის, რომ ჩემი თავი კაგებემ ახმედ მელაშვილს დაუმალა ისე, რომ მე ამის შესახებ არც კი გამაფრთხილეს? თუმცა, გავეფრთხილებინე რაღა დამალვა გამოვიდოდა. ეტყობა — ისიც იციან, რომ ბურსაში მე და ახმედ მელაშვილი ერთად, მარტონი დიდხანს რაღაცაზე ვსაუბრობდით და ისიც უმალვე გაიგეს, — რაღაც „გორგვალაი“ რომ გამომატანა. ავედი ოთართან, მეუბნება, — ახლა ქალაქიდან თანამშრომელმა დამირეკა, ფრიდონი დავინახე „ინტურისტთან“ და ამიტომ აღარ შემოვიყვანე სტუმარიო.

— დაჯექი. ახლა დაბრუნდებიან. უნდა მოკლედ გითხრა, — საქმისთვის საჭირო იყო, რომ ამჯერად შენ მელაშვილს არ უნდა შეხვედროდი. ჩვენ ახმედს ავუხსენით, რომ მოსკოვში ხარ. აიმტომ გთხოვ, შენც ასე თქვა. დღეს დაბრუნდი მოსკოვიდან... ასე სჭირდება საქმეს...

— გიგინეიშვილის დიდქართველობაში განა ეჭვი იქნება? მაგრამ...

რომელ საქმეს სჭირდება ნეტავი ასე? ვისია ის „საქმე“ და რა საქმე უნდა გააკეთოს ასეთმა „საქმემ“? და არის თუ არა ის „საქმე“ ჩემი ზიარიც?

ამასობაში ახმედი შემოიყვანეს. იგი მოვარდა და გულშეწუხებული გადამეხვია. როდის ჩამოდიო, მკითხა და ეშმაკურ-მალული თვალცქრიალები ფანჯრით გარეთ გატყორცნა. ჩემთვის სახის ჩვენებას მოერიდა. ალბათ, პირზე ნამეტანი აშკარად ეწერა საქართველოს უსუსურობაზე წუხილი. მერე მის ნომერში შევედით და დიდხანს ვისაუბრეთ.

თითქმის ატირებული მელაპარაკებოდა. რა სამწუხარო საქართველოა დღესო. ვის ხელშია საქართველოო. შენი თავი დამიმალეს. თბილისში მითხრეს, ხალვაში არაა ბათუმშიო. მე სხვას არავის დაველაპარაკე. გავაცხადე, შემახვედრეთ ფრიდონს-მეთქი და მაინც წამოვაყვანიე ჩემი თავი.

ბოლოს ასე თქვა: აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ. იქ უკეთეს ქართველებს ვნახავო. გულდაკოდილი, ნაწყენი, ჯავრიანი მესაუბრებოდა. სერგი ჯიქია მართლა დიდი თურქოლოგია? — მკითხა შუა საუბრისას. სხვათა შორის, სერგის წერილს დიდხანს ჯიბით ვატარებდი. მოვიძებნე, ვიპოვე, ვაჩვენე. ოი, ნენი! — როგორი შინაგანი ბედნიერებით ჩაიკითხა ის წერილი. უცებ სულ გამოიცვალა.

— არ დამტევენ, თვარა ერთ-ორ დღეს ვიქნებოდი აქაო (ახლა ვფიქრობ: ხომ არ ეჭვობდა რომ „გორგვალაი“ არც ჯიქიაზე არ გადაცემულა?ძ. ახმედი იმავე დღეს თბილისისკენ წაიყვანეს, საიდანაც მეორე დილით მოსკოვს გაემგზავრა. ის ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

11.04.06

წავიკითხე ზემორე ნაწერი ახმედ მელაშვილთან საუბარზე. ახლა რაი? „თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო“ უკეთეს დღეშია ვითომ? არა, დიდო ჩვენებურო, — ახმედ მელაშვილო, მე ვიცი ახალი მიწოლ-მოწოლების გადატანა მომიწევს, უკეთეს სამშობლოზე შენი სულის თანხლებით რომ ვიოცნებო, რომ ეს, შენი და ჩემი ოცნება ისევ თავზე და გულზე გადავიფინო.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-208, 211.**

№ 212. ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● მიშას არ უნდა დაავიწყდეს, რომ თითქმის ყველა, ვინც დღეს გამოთქვამს პროტესტს, უჭერდა მას მხარს ოთხი წლის წინათ



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ოპოზიცია სააკაშვილის გარემომცველთა გადადგომას მოითხოვს

**კვირას, თბილისში მიმდინარე ოპოზიციის მიტინგების მესამე დღეს, გამოჩნდა იმის პირველი ნიშნები, რომ ოდნავ დაიწყო რყევა პრეზიდენტის გარემოცვამ, რომელიც ერთი შეხედვით მონოლითური ჩანდა. პირველმა პოზიციები დათმო სააკაშვილის დედის — გიული ალასანიას მეგობარმა-ქალმა, დეპუტატმა გუგული მაღრაძემ, რომელიც პრეზიდენტის მომხრე უმრავლესობის წევრია. მან, მოიწვია საგანგებო ბრიფინგი, რომელზეც მხარი დაუჭირა ოპოზიციის მოთხოვნას მომავალი წლის გაზაფხულზე არჩევნების გამართვის შესახებ.**

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული კონსტიტუციური შესწორებების თანახმად, პარლამენტის არჩევნები გადაიტანეს 2008 წლის შემოდგომაზე და იგი პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად გაიმართება.

„ჩემი აზრით, მოთხოვნა პარლამენტის არჩევნების გაზაფხულზე გამართვის შესახებ კანონიერი და მორალურია. ხალხმა ჩვენ აგვირჩია ოთხი წლით, პრეზიდენტი კი — ხუთწლიანი ვადით. ამომრჩეველს არ მოუცია იმის მანდატი, რომ ჩვენ თვითონვე გავიხანგრძლივოთ უფლებამოსილება, პრეზიდენტმა კი — შეიმციროს მისი ვადა", — თქვა გუგული მაღრაძემ.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაუყოვნებლივ გაუსვეს ხაზი იმას, რომ ქალბატონი მაღრაძე საქართველოს პრეზიდენტის დედის — გიული ალასანიას უახლოესი მეგობარია.

გუგული მაღრაძემ განაცხადა, რომ „პრეზიდენტი მოექცა ისეთი ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც მას კონფრონტაციისკენ უბიძგებენ". სხვათა შორის, ასეთ მოსაზრებას იზიარებს რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი საპროტესტო აქციის მრავალი მონაწილე, და ოპოზიციაც, როგორც იგრძნობა, უკვე მზად არის მოხსნას მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის პოსტიდან გადადგომის შესახებ, თუ იგი დათანხმდება არჩევნების გაზაფხულზე გამართვას.

„მიშას ვთხოვ, როგორც ჩემ შვილს, გაარღვიოს ეს გარემოცვა, გამოვიდეს ჩვენთან და დადგეს ხალხის გვერდით", — განაცხადა საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, ხანდაზმულმა ქალბატონმა.

„მიშას არ უნდა დაავიწყდეს, რომ თითქმის ყველა, ვინც დღეს გამოთქვამს პროტესტს, უჭერდა მას მხარს ოთხი წლის წინათ „ვარდების რევოლუციის" დროს", — აღნიშნა ერთ-ერთმა ახალგაზრდა თბილისელმა.

მაგრამ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დეპუტატმა ვახტანგ ბალავაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა, რომ პრაქტიკულად არავინ იზიარებს გუგული მაღრაძის პოზიციას.

მეორე დეპუტატმა გიგა ბოკერიამ, რომელსაც მიიჩნევენ ყველაზე გავლენიან პირად პრეზიდენტის გარემოცვაში, კვლავ დაადასტურა რომ არანაირი დათმობა არ იქნება: „მომიტინგეების მოთხოვნები ძირითადად სოციალური ხასიათისაა, პოლიტიკოსთა ჯგუფი ბადრი პატარკაციშვილის მეთაურობით კი ცდილობს ყოველივე ამის გამოყენებას თავისი ინტერესებისთვის".

ერთი სიტყვით, საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ასეთი გზით ცდილობენ ჩამოაშორონ ოპოზიციის ლიდერები იმ ხალხს, რომლებიც მიტინგზეა შეკრებილი.

ოპოზიციონერებს ეს არ აზრკოლებს. როგორც ისინი ამბობენ, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი სააკაშვილი უგულებელყოფს მათ მოთხოვნებს, მას აღარ ექნება გარანტიები, რომლებიც თავის დროზე მიეცა აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს, როცა იგი საქართველოდან გარბოდა.

„დიქტატორული მანერებით, ავტორიტარიზმით, ხალხის აზრის იგნორირებით, ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ბრიგადების" ჩამოყალიბებით მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო მეტად მოგვაგონებს ასლან აბაშიძეს", — განუცხადა ჟურნალისტებს რესპუბლიკურ-დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა. „თუ სააკაშვილი არ მოიშლის თავისას, მას ელის ასლან აბაშიძის ბედი, ოღონდ პრეზიდენტი უკვე ვერანაირ გარანტიებს ვეღარ მიიღებს", — დარწმუნებულია ზურაბიშვილი.

ამავე დროს, საერთაშორისო გაერთიანება და, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები, კვლავ ცდილობს იმის გარკვევას, თუ რა ხდება თბილისში და რით შეიძლება ყოველივე ეს დასრულდეს.

ოპოზიციის წარმომადგენელი, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი მიიღო ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა. ვაშინგტონიდან კი სულ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ქართველ რესპუბლიკელთა ჯგუფი, რომელიც იქ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს ხვდებოდნენ. როგორც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ თქვა, „შეერთებულ შტატებში ახლა მიმდინარეობს ყოველივე იმის ხელახალი გააზრების პროცესი, რასაც აკეთებს მიხეილ სააკაშვილი".

**დიმიტრი ალექსანდროვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## რუპერტ მერდოკი — ქართულ პოლიტიკაში

**რუპერტ მერდოკის გლობალური მედიაკომპანია News Corp. სანამ დააბანდებდეს ფულს ახალ ბაზრებზე, როგორც წესი, შეისწავლის ხოლმე იქ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. მაგრამ მის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გადადგმულმა ნაბიჯმა საქართველოში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც აღმოჩნდა დასავლეთისა და რუსეთის ჯვარედინი ცეცხლის ზონაში, როგორც ჩანს, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კომპანია ჩავარდეს კავკასიურ „კრაზანების ბუდეში".**

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული მუდმივი დაძაბულობა, გასულ კვირას კვლავ გამწვავდა, როცა რუსმა სამშვიდობოებმა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვარზე დააკავეს ოთხი ქართველი პოლიციელი. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაუყოვნებლივ გაეშურა იმ ადგილისკენ, რათა პირადად გაერკვია ურთიერთობა რუსულ მხარესთან.

ამ ინციდენტში სააკაშვილის ჩარევის ამსახველი კადრები ტელევიზიამ გადასცა თბილისში საერთაშორისო კონფერენციის გახსნის წინ, რომელშიც მონაწილეობდნენ სააკაშვილის პროდასავლური მთავრობის მთავარი მხარდამჭერები, მაგალითად, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი. კონფერენცია კი, თავის მხრივ, დაემთხვა თბილისში სააკაშვილის ოპონენტთა მასობრივ დემონსტრაციას, რომლის გამართვაც პარასკევისთვის იყო დანიშნული.

ამ მოვლენათა ფონზე რუპერტ მერდოკის მედიაიმპერიამ გამოაცხადა, რომ თანახმაა სამართავად აიღოს ტელეკომპანია „იმედი", რომელიც ანტისამთავრობო პოზიციებზე დგას. მერდოკის კონცერნმა ქართველ მილიარდბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს დაუდო ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც ამ მეწარმის კუთვნილი აქციათა საკონტროლო პაკეტი გადაეცემა სამართავად კონცერნს. პატარკაციშვილმა, თავის მხრივ, საჯაროდ განაცხადა, რომ ფინანსურ დახმარებას უწევს ოპოზიციას.

აქ კი უკვე ყველაფერი აირია. მოსკოვში მერდოკის ჩარევა აღიქვეს, როგორც ანტირუსული შეთქმულება. მაგრამ კრემლს სააკაშვილი მაინც მიაჩნია თავის დაუძინებელ მტრად. რუსული პრესა ვარაუდობდა, რომ მერდოკის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს ოპოზიციის ნეიტრალიზებას. ან, იქნებ, ეს იმის ნიშანიც იყოს, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უკვე განიცდის სირცხვილის გრძნობას სააკაშვილის მოქმედების გამო?

აღსანიშნავია, რომ ბადრი პატარკაციშვილი არის რუსი ოლიგარქი-მილიარდერის ბორის ბერეზოვსკის საქმიანი პარტნიორი, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. მოსკოვი ორივეს ადანაშაულებს თაღლითობაში და მათ გადაცემას მოითხოვს. რუსეთში როგორც ბერეზოვსკის, ისე პატარკაციშვილს თავიანთი სახელმწიფოს მტრებად მიიჩნევენ.

ბერეზოვსკი ამტკიცებს, რომ აფინანსებს რუსეთში ვლადიმერ პუტინის ოპოზიციას, პატარკაციშვილი კი გამოყოფს ფულს სააკაშვილის ოპონენტების მხარდასაჭერად, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, არც ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის არსებობს მეგობრული ურთიერთობა.

პატარკაციშვილი ირწმუნება, რომ ოპოზიციას აფინანსებს არა არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ დაიცვას კონსტიტუცია. ხანგრძლივი პერსპექტივისთვის კი მას სურს, რომ საქართველო გახდეს კონსტიტუციური მონარქია.

მაგრამ, როგორია მერდოკის კონცერნის როლი ყოველივე ამაში?

როგორც News Corp Europe ევროპის გამგეობის თავმჯდომარემ მარტი პომპადურმა აღნიშნა, კონცერნი პოლიტიკურ როლს არ ასრულებს, თუმცა მისი ჩარევა პატარკაციშვილს მისცემს აქტიური პოლიტიკური საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. კორპორაციას კომერციული ინტერესები ამოძრავებს: საქართველოში სარეკლამო ბაზარი წელიწადში 30 პროცენტით იზრდება და როგორც მედიაიმპერიის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, სწორედ საქართველოს მეშვეობით შეძლებენ ისინი გასვლას კავკასიის უფრო ვრცელ ბაზარზე.

გარდა ამისა, კონცერნის მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი არის აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემდგომი ფართო ექსპანსიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი.




**კვენტინ პილი**

FT.com
FINANCIAL TIMES

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

# დედამიწის ზურგზე

**შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჟაკ განსლერის თავმჯდომარეობით მოქმედმა დამოუკიდებელმა კომისიამ ამ ქვეყნის არმიაში გამოავლინა თაღლითობისა და დატაცების არა**



## ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გზით.**

რაისმა ასევე მოუწოდა არაბულ ქვეყნებს დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა ისრაელთან.

თავის მხრივ, ისრაელის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ დათანხმდებიან პალესტინის სახელმწიფოს შექმნას მანამ, სანამ არ იქნება გარანტირებული ისრაელის უშიშროება.

კონდოლიზა რაისმა იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სამშვიდობო კონფერენციის მომზადების მიზნით, რომელიც შეერთებულ შტატებში უნდა გაიმართოს. თუმცა, მან არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ჯერჯერობით ვერ დაასახელებს კონფერენციის დაწყების ზუსტ თარიღს.

რაისი გამოვიდა იერუსალიმში ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის და ახლო აღმოსავლეთის საკითხების საერთაშორისო დესპანის ტონი ბლერის თანდასწრებით.

როგორც ოლმერტმა თქვა, ამ საკითხში პროგრესის მიღწევა შესაძლებელი იქნება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ამოიწურება შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის უფლებამოსილების ვადა.

კვირას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა გამართა მოლაპარაკება ოლმერტთან და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან ციპი ლივნისთან. კონფერენციაზე ლივნიმ განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარებაში პროგრესის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ პალესტინელები შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს „საგზაო რუკის“ შესაბამისად, რომელიც შეიმუშავეს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით. „არავის სურს, რომ რეგიონში გამოჩნდეს კიდევ ერთი ტერორისტული სახელმწიფო“, — თქვა ისრაელის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა.

კონდოლიზა რაისი ასევე ეწვევა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირს და შეხვდება პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარეს მაჰმუდ აბასს. კვირას კი, პალესტინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ისმაილ ჰაინამ მოუწოდა აბასს, რომ არ მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო კონფერენციაში, რომელიც ამერიკის მერილენდის შტატში უნდა გაიმართოს. ჰანიას აზრით, ეს კონფერენცია მიაყენებს ზიანს მთელ რეგიონს.



## საპროტესტო აქციის დროს პაკისტანში 700 აქტივისტი დააპატიმრეს

**რამდენიმე ასეული დაპატიმრებული აქტივისტი პაკისტანის წამყვანი რელიგიური პარტიის „ჯამაათ-ე-ისლამის“ წევრები არიან. „დაპატიმრებულთა ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ ვიცით, რომ საქმე ეხება ასეულობით ადამიანს“, — აღნიშნა ორშაბათს ამ პარტიის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნამირ აზიმმა.**

ამავე დროს, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლიაქიათ ბალუჩმა დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს აცნობა, რომ დაპატიმრებულია ჯამაათ-ე-ისლამის“ 600-700 აქტივისტი.

პარტიის წარმომადგენელთა მონაცემებით დაპატიმრებები განხორციელდა პენჯაბის და სინდის პროვინციებში, სადაც ისლამისტები ორშაბათისთვის გეგმავდნენ პაკისტანში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციის გამართვას. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი დააკავეს პენჯაბის პროვინციის ადმინისტრაციულ დედაქალაქში — ლაჰორში.

საერთო-ეროვნული საპროტესტო გაფიცვა დაიწყო პაკისტანის ადვოკატმა კავშირმა. ქალაქ კარაჩიში პოლიციელებმა რეზინის ხელკეტებით გამოყარეს უზენაესი სასამართლოს შენობიდან ასზე მეტი იურისტი, შემდეგ კი ეს ადამიანები დააპატიმრეს, აღნიშნა უფროსმა ადვოკატმა და ყოფილმა მოსამართლემ რაშიდ რიზვიმ. მისი მტკიცებით, რამდენიმე დაშავებულ ადვოკატს პოლიციელებმა სამედიცინო დახმარებაზე უარი განუცხადეს.

მიმდინარე წლის მარტში პაკისტანელმა ადვოკატებმა უკვე გამართეს საპროტესტო აქციები. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ფერვეზ მუშარაფმა სცადა თანამდებობიდან გადაეყენებინა ქვეყნის იუსტიციის მინისტრი. იურისტებმა განაცხადეს, რომ ორშაბათს ბოიკოტს გამოუცხადებენ ყველა სასამართლო სხდომას. შაბათს დააპატიმრეს აითზაზ აჰსანი, უზენაესი სასამართლოს ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე, ორშაბათს კი მისი ბედი გაიზიარა ქვეყნის მრავალმა სხვა იურისტმაც.

## ნატოში შესვლის პირობაა ენერგეტიკული დამოუკიდებლობა რუსეთისგან

**ნატოს რიგებში უკრაინის შესვლის შესაძლებლობის შესახებ კიევის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მიერ დასმულ კითხვაზე პასუხისას შეერთებული შტატების ელჩმა უკრაინაში უილიამ ტეილორმა გამოთქვა აზრი, რომ უკრაინის ინტერესებს შეესაბამება ქვეყანაში გაზის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების დადება გამჭვირვალობის პრინციპით და ყოველგვარი შუამავლების გარეშე. „უნდა იყოს გამჭვირვალე კონტრაქტი. ამჟამინდელი კონტრაქტი არცთუ ისე გამჭვირვალეა და იგი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული შუამავალზე“, — აღნიშნა ტეილორმა.**

როგორც მან თქვა, უკრაინის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანამ უნდა მოჰკიდოს ხელი ენერგორესურსების მოწოდების დივერსიფიკაციის საკითხების გადაწყვეტას. უილიამ ტეილორის აზრით, უკრაინის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას შეიძლება შეუწყოს ხელი ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებამ, აგრეთვე შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მოპოვებამ.

ელჩს ასევე მიაჩნია, რომ ნატოში უკრაინის შესვლის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი ხალხის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ელჩმა აღნიშნა, რომ ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნატოს შესახებ ქვეყნის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას. „სადღეისოდ ნატო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების ოპონენტი იყო. ნატო არის იმ ქვეყნების კლუბი, რომლებიც იზიარებენ დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებს და უშიშროების საერთო საკითხებს“, — განმარტა დიპლომატმა.

ელჩმა განაცხადა: უკრაინელებმა უნდა იცოდნენ, რომ ქვეყნის შეერთება ალიანსთან როდი ნიშნავს იმას, თითქოს უკრაინის ტერიტორიაზე აუცილებლად განლაგდება უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზები, ბირთვული იარაღი, ისევე, როგორც არც იმას ნიშნავს, რომ უკრაინამ აუცილებლად უნდა გაგზავნოს თავისი სამხედროები „ცხელ წერტილებში“.

ტეილორმა ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ნატოში შესვლის იდეის მხარდამჭერის შემდეგ უკრაინელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მათი ქვეყანა ჯერ უნდა შეუერთდეს ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმას. „მაგრამ ამ გეგმასთან შეერთება არ არის იმის გარანტია, რომ ქვეყანა ალიანსის რიგებში შევა. და ასე რომ მოხდეს კიდეც, შესაძლოა, ამას დასჭირდეს დროის საკმაო დიდი მონაკვეთი, რადგან ეს სასწრაფო პროცესი არ არის“, — აღნიშნა მან.

## დააპატიმრეს სიცილიის მაფიის მეთაური

**იტალიაში დააკავეს სალვატორე ლო-პიკოლო, რომელიც ითვლება სიცილიური მაფიის ახალ თავკაცად. პალერმოს პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს დააკავეს ასევე მისი ვაჟი — სანდრო.**

უფროსი ლო-პიკოლო მთელი 20 წლის განმავლობაში წარმატებით ემალებოდა სამართალდამცავ ორგანოებს. სიცილიის მაფიას იგი ჩაუდგა სათავეში შარშან, მას შემდეგ, რაც დააკავეს ბერნარდო პროვენზანო, ადამიანი, რომელსაც დანაშაულებრივი სამყაროს „ბოსების ბოსს“ უწოდებდნენ.





„კოზა ნოსტრას“ ახალი ბოსის და მისი უახლოესი თანამოსაგრეების დაპატიმრებით მომაკვდინებელი დარტყმა ვაგემეთ სიცილიის მაფიას, — აღნიშნა პარლამენტის ანტიმაფიოზური კომისიის თავმჯდომარემ ფრანჩესკო ფორჯონემ.

65 წლის სალვატორე ლო-პიკოლო გასამართლებული იყო მკვლელობის გამო და იგი იმალებოდა 1998 წლის შემდეგ. თავის ვაჟსა და მაფიის სხვა თავკაცებთან ერთად, იგი სათავეში ედგა იტალიაში ყველაზე მეტად ძებნილი 30 მაფიოზის სიას. ლო-პიკოლო დააკავეს პალერმოს მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სახლში, სადაც მიმდინარეობდა „ნათლიმამების“ თავყრილობა.

## მსოფლიო მზად არის შეამციროს ენერგორესურსების მოხმარება

**ბი-ბი-სის შეკვეთით მსოფლიოს 21 ქვეყანაში გამართულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა მზად არის შეამციროს ენერგორესურსების მოხმარება კლიმატურ ცვლილებათა შედეგების შერბილების მიზნით.**

რუსეთი აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა შორის, რომლებშიც გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ყოველივე ამასთან ერთად არ უნდა გაიზარდოს ენერგოშემცველების ფასი.

ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურის შეკვეთით გამოჰკითხეს 22182 კაცი ავსტრალიაში, ბრაზილიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ესპანეთში, იტალიაში, კანადაში, ჩინეთში, კენიაში, სამხრეთ კორეაში, მექსიკაში, ნიგერიაში, რუსეთში, შეერთებულ შტატებში, თურქეთში, ფილიპინებში, საფრანგეთსა და ჩილეში. ყოველი ხუთი რესპონდენტიდან ოთხმა გამოთქვა მზადყოფნა შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. ეს ეხება თვით შეერთებული შტატების და ჩინეთის მცხოვრებლებსაც კი, ანუ იმ ქვეყნებს, რომლებზეც წილადაც მოდის ატმოსფეროში გამოფრქვეული სათბურის გაზის ყველაზე დიდი ოდენობა.

**გამოკითხულთა სამი მეოთხედი ასევე მზად არის დაუჭიროს მხარი ენერგომატარებლებზე გადასახადების მომატებას იმ პირობით, თუ ასეთი გზით მიღებული შემოსავალი მოხმარდება ენერგომომარაგებას და ენერგიის უფრო ეკოლოგიური წყაროების ძებნას.**

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

# SIC!

● ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ადამიანის კავშირი ბუნებასთან წმინდაა. დავფიქრდეთ, საჭიროა თუ არა ორბუნებოვანი (ერთდროულად მცენარეული და ცხოველური თუ მიკროორგანიზმულიძ, ახალი, უმომავლო არსებების გავრცელება და გამოყენება ჩვენს ქვეყანაში მაშინ, როდესაც მსოფლიოს უდიდესმა ნაწილმა კატეგორიული უარი განაცხადა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დანერგვასა და მისი შემცველი პროდუქტების მოხმარებაზე



◉ ჩვენ და ბუნება

# ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს გენმოდიფიცირება არ სჭირდება!

(მეშვიდე გვერდიდან)

თევზები, რომლებსაც ზრდის ჰორმონის გამომუშავებელი გენი ჰქონდათ ჩანერგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად იზრდებოდნენ, უფრო აქტიურადაც მრავლდებოდნენ, მაგრამ მათი შთამომავლობა ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი იყო.

კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ თავდაპირველად გენმოდიფიცირებული სახეობა განდევნის თავის ბუნებრივ თანამოძმეებს, ხოლო შემდეგ პოპულაცია საერთოდ გადაშენდება.

გენმოდიფიცირებული მცენარეებიდან გენები 20-ჯერ უფრო ეფექტურად გადაიცემა, ვიდრე ჩვეულებრივი კულტურული ან ველური მცენარეებიდან. ბუნებაში გენმოდიფიცირებული მცენარეების დანერგვით მოხდება ბიომრავალფეროვნების შემცირება – მოსპობა. ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის აუცილებელი პირობაა ის, რომ არ მოხდეს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია.

საკვები ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში არ უნდა იყოს. რაც შეეხება გენმოდიფიცირებული პროდუქტებით ადამიანთა კვებას, საქართველოს მოსახლეობა არ შეიძლება ექსპერიმენტის ქვეშ დავაყენოთ.

კვების წესი და ხასიათი განაპირობებს ადამიანის არა მხოლოდ ჯანმრთელობას, არამედ იგი მისი სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელიცაა. ბიბლიური მოძღვრება სწორ კვებას მჭიდროდ უკავშირებს როგორც ჯანმრთელობას, ასევე რელიგიურ ცხოვრებას: – ჭამთ, სვამთ, თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი ღმრთის სადიდებლად აკეთეთ, – ასკვნის პავლე მოციქული.

ჯერ კიდევ მოსეს ჯანმრთელობის კანონების მიხედვით კანონი, რომელიც მარცვლეულის მოყვანასა და ცხოველთა მოშენებას არეგულირებდა, ისეთნაირად წარმართავდა ამ საქმიანობას, რომ საბოლოოდ ადამიანიც უფრო გაჯანსაღებულიყო და მოსავალიც უხვი ჰქონოდა. სხვადასხვა ჯიშის საქონელი არ უნდა შეეჯვარებინათ, ორი სხვადასხვა მარცვლეული კულტურა ერთ მინდორზე არ უნდა დათესილიყო, ყოველ მეშვიდე წელს მიწას უნდა დაესვენა, რათა ნიადაგი დაცული ყოფილიყო გამოფიტვისგან და ა.შ.



თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ბუნების ნგრევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი რელიგიური ფასეულობების დავიწყებაა.

დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა რელიგია გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს მორწმუნეებს საკვების მიღების მხრივ. უმთავრესად აღკვეთილია (გარკვეული პერიოდების განმავლობაში ან სრულადძ სხვადასხვა სახის ცხოველური წარმოშობის საკვების მიღება. ინდუიზმის მიმდევრები ვეგეტარიანელები არიან, ბუდიზმი კრძალავს ოთხფეხა პირუტყვის გამოყენებას საკვებად. ისლამი და იუდაიზმი კრძალავენ ღორის ხორცის საკვებად გამოყენებას. ქრისტიანებისთვის დაწესებულია მარხვა წლის გარკვეულ პერიოდებში, როდესაც მათ ეკრძალებათ ცხოველითა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით კვება.

ქრისტიანული მარხვა, უპირველეს ყოვლისა, არის უფლის, ღვთისმშობლისა და წმინდანების მიმართ პატივის მიგება. მარხვაში ქრისტიანები თანაგრძნობას გამოხატავენ მოციქულთა მიერ გაღებული ღვაწლის მიმართ. საკუთარ სურვილებზე უარის თქმით თანამონაწილე ვხდებით მათი მოღვაწეობისა და ვსწავლობთ უფლისა და წმინდანების სიყვარულს. მორწმუნე ადამიანს უჭირს დიდი ხნით ხსნილში ყოფნა. ხსნილში ადამიანი თითქოს მოეშვება ხოლმე ხორციელად და სულიერად. მარხვაში ქრისტიანი თავს მეტად აკონტროლებს და სწავლობს სისუსტეების დაძლევას, რადგან თუ საკვების მიღების სურვილზე გაიმარჯვე, გაიმარჯვებ საკუთარ ხორციელ ბუნებაზე.

მედიცინა არ უარყოფს მარხულობის გზით ადამიანთა მკურნალობის მეთოდს.

ადამიანის ფიზიოლოგია ბუნებრივი, ტრადიციული საკვების მოხმარებაზეა ადაპტირებული. ქართული საკვები პროდუქტები სრულად უზრუნველყოფდა ჩვენი წინაპარი ქართველების სრულფასოვან კვებას როგორც სამარხვო, ისე არასამარხვო პერიოდში. ქართველთა კვების სისტემიდან შეიძლება დავინახოთ კვების ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ სამეურნეო მხარეები, რელიგიური და სოციალური ასპექტები. მასში ვლინდება სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი, ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული თვითშეგნება.

მომავალში ობიექტურადაა გასათვალისწინებელი ის თავისებურებანი და ტრადიციები, რაც ისტორიულად საქართველოში კვების სისტემას (სურსათის წარმოება, მისი სტრუქტურა, საკვების ქიმიური შემადგენლობა, მოხმარების ნორმები, კვების რაციონი სამარხვო და არასამარხვო პერიოდებში და ა.შ.ძ უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, შესაძლოა მივიდეთ ეთნოსის ბიოლოგიური ცხოველმყოფელობის შესუსტებამდე, რასაც როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, ასევე არატრადიციული კვება ემუქრება.

მთელს მსოფლიოში ადამიანები კვების რაციონს ირჩევენ თავიანთი ეროვნულ-ტრადიციული, ეთიკური, რელიგიური და ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით. გენური ინჟინერიის დანერგვის შემთხვევაში მიუღებელია ვეგეტარიანელისათვის ისეთი პომიდვრის მოხმარება, რომელშიც „ჩამონტაჟებულია“ თევზის გენი. მარხვის დროს ქრისტიანის კვების რაციონში შეიძლება მოხდეს ისეთი პროდუქტი, რომელშიც ცხოველური გენია „ჩამონტაჟებული“. შეიძლება თვითონ არც კი იცოდეს ამის შესახებ და ისე დაარღვიოს თავისი რწმენა და პრინციპები. მით უმეტეს, თუ ასეთ პროდუქტებზე არ იქნება მარკირება. ამ დროს ირღვევა ადამიანის უფლება, დამოუკიდებლად შეარჩიოს კვების სტილი.

მრავალი მორწმუნე მიიჩნევს, რომ გენური ინჟინერია მიუღებელია და ბუნების საწინააღმდეგოა, რადგან ეს არის ადამიანის ამბიციური მცდელობა, ჩაერიოს სფეროში, რომლის განგებაც მხოლოდ უმაღლეს ძალას ეკუთვნის, ექსპლუატაცია გაუწიოს და შეცვალოს მილიონობით წლის მანძილზე დაგროვილ და მოწესრიგებულ გენეტიკურ ინფორმაციას.

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ადამიანის კავშირი ბუნებასთან წმინდაა. დავფიქრდეთ, საჭიროა თუ არა ორბუნებოვანი (ერთდროულად მცენარეული და ცხოველური თუ მიკროორგანიზმულიძ, ახალი, უმომავლო არსებების გავრცელება და გამოყენება ჩვენს ქვეყანაში მაშინ, როდესაც მსოფლიოს უდიდესმა ნაწილმა კატეგორიული უარი განაცხადა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დანერგვასა და მისი შემცველი პროდუქტების მოხმარებაზე. საჭიროა კი მათი არსებობა ღვთის მიერ შექმნილი ცოცხალი სამყაროს გვერდით?!

ადამიანის დანიშნულებაა, მადლობა უთხრას შემოქმედს ნაზოძები სამყაროსათვის.

საქართველო უნდა გამოცხადდეს გენური ინჟინერიის გზით მიღებული ორგანიზმებისა და საკვებისგან თავისუფალ ქვეყნად!

**ლიანა სიმონიშვილი,**
**კავშირი „ჩვენ მწვანეების“ ეკოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარე**

◉ ეპასუხებიან

# ექსპერტ-პროვოკატორი ედუარდ აბრამიანი...

(მეშვიდე გვერდიდან)

ამ ფაქტის დასამტკიცებლად არ მოაქვს არავითარი ციფრობრივი მონაცემები ან რაიმე სახის დოკუმენტი. მხოლოდ ცარიელი სიტყვებით უნდა ფონს გავიდეს და რუსულენოვანი მკითხველი ასეთ სიცრუეში დაარწმუნოს. განა მწარედ არ უნდა გაგეცინოს აზერბაიჯანელი კაცის გულშემატკივრად და ქომაგად რომ მოაქვს თავი?

მაგრამ ბ-ნ აბრამიანს განსაკუთრებული გართულება მაინც მეგრელების მიმართ აქვს. როცა მეგრელებზე წერს, ნიანგის ცრემლებს აღვარღვალებს. თურმე ამ ქართულად მოლაპარაკე ხალხს, რომლებიც თურმე დღემდე არ თვლიან ქართველებად თავს, ქართულისგან განსხვავებული ანბანი ჰქონიათ. საქართველოს მთავრობას 2004-2006 წლებში დაუხურავს მეგრულ ენაზე გამოცემული მხატვრულ-საზოგადოებრივი ჟურნალი – „ირიტონი“ და მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი „აია“. გაირკვა, „ირიტონი“ – ასეთი ჟურნალი სინამდვილეში არ არსებობდა და ბ-ნი აბრამიანის ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა. კაცმა რომ თქვას, ამ მთავრობას ცოდვები არ აკლია და არჩადენილის დამატება ნამდვილად არ სჭირდება. ჟურნალი „აიას“ გამოცემა შეჩერდა 2000 წლის ფინანსური მიზეზის გამო და მთავრობა არაფერ შუაშია. თანაც, უკვე აღდგა 2007 წელს და გამოვიდა პირველი ნომერი. მასში თავის დროზე თვალსაჩინოებისთვის დაიბეჭდა რამდენიმე მეგრული ფოლკლორული ტექსტი. ეს არის და ეს.

ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა პროვოკაციას ბ-ნი აბრამიანის შემდეგ განცხადებას – თითქოს ბერიამ მეგრულ სკოლებში შეიტანა ქართული ენის და ლიტერატურის სტანდარტული სწავლების კურსი და გაქართული ანბანი. რას ნიშნავს „მეგრული სკოლა“? ასეთი სკოლა საქართველოში არ არსებობდა, ისე როგორც არ იყო კახური სკოლა, იმერული სკოლა, გურული სკოლა, რაჭული სკოლა და ა.შ. ესენი არიან ქართული სკოლები და ამ სკოლებში მშობლიური ენა და ლიტერატურა რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის დროსაც კი ისწავლებოდა გარკვეული დოზით. ბერიას აღნიშნული ღონისძიების ჩატარება არ სჭირდებოდა და არც ჩაუტარებია.

ბ-ნი აბრამიანი კანში ძვრება, რათა რუსულენოვანი მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს სვანებს, მეგრელებს და აჭარლებს ქართველები ჩაგრავენ და ცდილობენ გადააჯიშონ. საქართველო თურმე მეგრელთა გაქართველებას თუ ცდილობს, სამაგიეროდ მეგრელთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნავს სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობაო. იმასაც თავგამოდებით ამტკიცებს ეს ოცდამეერთე საუკუნის ხუდაბაშოვი თუ ეზოვი, თითქოს მეგრელებს უფრო მეტი საერთო აქვთ აფხაზებთან, ვიდრე ქართველებთან.

ძლივს ერთი სიმართლე წამოცდა ბ-ნ აბრამიანს. დროის უკუღმართობის გამო გააფხაზებულ ქართველებს, რომელნიც აფხაზეთის მოსახლეობის ოთხმოც პროცენტს შეადგენს, რა თქმა უნდა, მეტი საერთო აქვთ გენეტიკურად, სისხლისმიერ, ღვიძლ ძმებთან ქართველებთან, ვიდრე XVI ს-ში ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან ჩამოხვეტილ აფსუებთან. ამ ხალხთან ქართველებს არაფერი არ აკავშირებთ, გარდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრებისა. ეს იცის ბ-მა აბრამიანმა, მაგრამ შეგნებულად წარმოადგენს მრუდე სარკეში ყველაფერს, რაც საქართველოს და ქართველ ხალხს შეეხება.

კიდევ ბევრი ბოლმა და შხამია შეგნებულად გადმონთხეული იმ სამიოდე ფურცელზე, მაგრამ რაც მოვიტანეთ, ესეც კმარა ქართველთმოძულე დაშნაკი ექსპერტის პიროვნების წარმოსაჩენად.

ამ ყველაფერთან ერთად, საინტერესოა, კავკასიის ხალხთა ექსპერტი ბ-ნი აბრამიანი რას ფიქრობს სომხეთში ხელოვნურად შექმნილ მონოეთნიზაციის შესახებ, რომელსაც მიაღწიეს გასული საუკუნის 90-იან წლებში ათასეულობით აზერბაიჯანელის სომხეთიდან გაძევების გზით. იქნებ გვითხრას სომხეთში კომპაქტურად დასახლებულ ქურთ ხალხს რატომ არ აძლევენ ავტონომიას ან დამოუკიდებლობას?... ბ-ნ აბრამიანს ხომ არ ჰგონია, ვინმეს დაავიწყდა ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ბარბაროსული ეთნოწმენდა აფხაზეთში... ასე რომ, სჯობს, ყველამ თავის თავს მიხედოს.

**ბონდო არველაძე**

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

# სპორტი

● ჩვენმა მოჭიდავეებმა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ძიუდოს „მზის ქვეშ“ კარგა ხანია ადგილი დაიმკვიდრეს, ქალთა ძიუდო კი ადგილიდან არ იძვრის. არადა, ბევრ ქვეყანას სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა ძიუდოს ძლიერი ნაკრებები გამოჰყავს. ჩვენში კი რა ხდება?



◎ ორბიტაზე

## რეჰაგელი ისევ ჩემპიონობას უმიზნებს



**საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი, რომლის წინამძღოლობითაც ბერძნები კონტინენტის ბოლო პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ, თავის მომავალზე ლაპარაკს ევრო-2008-ის დამთავრების შემდეგ აპირებს.**

„ახლა მე კონტრაქტი მაქვს საბერძნეთის ფედერაციასთან და მთლიანად გადართული ვარ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაზე. მომავალზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ, როცა ის დამთავრდება. შეიძლება დავრჩე ან წავიდე. შესაძლოა, ბერძნებმა ახალი რამ შემომთავაზონ და მე ის მივიღო“. – თქვა რეჰაგელმა.

2004 წელს 69 წლის სპეციალისტმა სენსაციურად მიიყვანა საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებამდე, ახლა კი მისივე ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის ნაკრებმა ვადამდე მოიპოვა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური.

## შანხაისა და მადრიდში



**მართალია, ფრანგი ჩოგბურთელი რიშარ გასკე არგენტინელ ნალბანდიანთან დამარცხდა პარიზში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში, მაგრამ მაინც მოხვდა იმ რვა ჩოგბურთელს შორის, ვინც იასპარეზებს შანხაიში სეზონის დასკვნით ტურნირში.** ადრე ეს საპატიო საგზურები მოიპოვეს როჯერ ფედერერმა, რაფაელ ნადალმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ნიკოლოზ დავიდენკომ, ენდი როდიკმა, დავით ფერერომ და ფერნანდო გონსალესმა. ტურნირი 11 ნოემბერს აიღებს სტარტს.

X X X

**მადრიდში კი გაიმართა ქალთა დასკვნითი ტურნირის მონაწილეთა კენჭისყრა. ის დღეს დაიწყება და მისი საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარი იქნება.**

„ყვითელ ჯგუფში“ მოხვდნენ ჟიუსტენ ენენი (მსოფლიო რეიტინგით პირველი ჩოგბურთელია), ელენა იანკოვიჩი (მე-3ა, სერენა უილიამსი (მე-5ა და ანა ჩაკვეტაძე (მე-7ა. „წითელ ჯგუფში“ ითამაშებენ სვეტლანა კუზნეცოვა (მე-2ა, მარია შარაპოვა (მე-6ა, ანა ივანოვიჩი (მე-4ა და დანიელა ჰანტუხოვა (მე-9ა.

## „ღმერთმა დასწყევლოს, როგორ აგვაპილპილა!“

**თაყვანისმცემლების გასახარად დევიდ ბექჰემის ლამაზმანი ცოლი ვიქტორია ისევ გამოჩნდა მსოფლიოს მუსიკალურ ტელეარხებზე აღდგენილ თავის ყოფილ ქალთა ანსამბლთან ერთად შექმნილი კლიპით.**

თუმცა სიმღერაზე „ეს მეგობრობა მუდამ იცოცხლებს“... შექმნილი კლიპის პრემიერას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ტელეარხის BBC! ბოსებმა კლიპიდან ამოჭრეს ზოგიერთი სცენა ვიქტორიას მონაწილეობით, მიიჩნიეს რა „ძალზე სარისკოდ“.

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა დაუყოვნებლივ მოიძიეს კლიპის სრული ვერსია. ახლა მას თითქმის ყველა ინტერნეტზე ატრიალებენ, და თავისებური დასკვნებიც გააკეთეს.

ამოჭრილ კადრებმა (ერთ-ერთ მათგანს აქვე ვაქვეყნებთა) ბრიტანელი „კალმის ზვიგენები“ აღტაცებაში მოიყვანეს და ვიქტორიას ადრე posh spice („დიდებული პილპილად“, რომ მონათლეს, ახლა ახალი ზედმეტი სახელი გამოუძებნეს – gosh spice - რაც დაახლოებით ასე ითარგმნება „ჰო-ჰო-ჰო! როგორ აგვაპილპილა“ ან „ღმერთმა დასწყევლოს, როგორ აგვაპილპილა!“ თანაც ძნელია, არ დაეთანხმოთ!



◎ კალათბურთი

# მსაჯებზე გაწევას რა უნდა

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში იშვიათი ფაქტი მოხდა – სამივე მატჩი უაღრესად მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მათი ბედი უკანასკნელ წამებზე გადაწყდა. მეტიც – „ვითასა“ და თბილისის „დინამოს“ უძლიერესის გამოსავლენად ძირითადი დრო არ ეყოთ, „ავიამშენისა“ და თსუ-ს შეხვედრის დასრულების შემდეგ კი დამარცხებით უკმაყოფილო ავიატორთა წარმომადგენლებმა იერიში მსაჯ დავით არეშიძეზე მიიტანეს.** სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა სუპერლიგის ხანმოკლე ბიოგრაფიაში, როცა საქმე სასტვენოსანთან ანგარიშსწორების მცდელობამდე მივიდა. ვიმედოვნებთ, კალათბურთის ფედერაცია აღნიშნულ უმსგავსობაზე პრინციპულად იმსჯელებს და ყველას დამსახურებისამებრ მიუზღავს.

**„ენერჯი ინვესტი“ – „მაკაბი“ 101:92.**

ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი წლეულს დუდუ დადიანის მემორიალზე ერთხელ უკვე დაამარცხა რუსთავში, რაზეც სხვები მეორე სეზონია უშედეგოდ ოცნებობენ. მოვლენები ამჯერადაც ისე განვითარდა, რომ გიორგი შერმადინი და მისი პარტნიორები საფინალო სასტვენამდე ინარჩუნებდნენ წარმატების შანსს, მაგრამ სასწაული აღარ განმეორდა, რასაც მასპინძლები ბელტონ რივერსს უნდა უმადლოდნენ – ქვემოქართლელთა დებიუტანტმა 30 ქულით პირადად მოუგვარა ფავორიტს ყველა პრობლემა.

**„ვითა“ – „დინამო“ 65:62 (ძირითადი დრო 54:54ა.**

მოკლედ მოგახსენებთ – უნდა ინანონ იმ გულშემატკივრებმა, ვინც ამ დრამატულ დუელს არ დაესწრნენ. თუმცა, მათაც, შეიძლება, გაუგო კაცმა – ბევრს ხომ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს დღეებში სპორტის სასახლის ნაცვლად გული რუსთაველის გამზირისკენ მიუწევს.

რაც შეეხება ხსენებულ ტრილერს, მის გმირებად თვალსა და ხელს შუა გავეტერანებული დავით ბერძენიშვილი და ვლადიმერ ბეჟანიშვილი მოგვევლინენ – პირველმა ძირითადი დროის მიწურულს გაათანაბრა ანგარიში, მისმა თანაკლუბელმა კი ოვერტაიმში ივაჟკაცა, როცა ბოლო წამზე დინამოელთა კალათში სამქულიანი ჩააგდო და პირადი მონაგარი 20 ქულამდე დაამრგვალა.

**თსუ – „ავიამშენი“ 87:83.**

ქებათაქება ტურის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ მიხეილ ფანჩულიძეს. სწორედ მისმა 32 ქულამ მოაგებინა სტუდენტებს სკანდალური დაპირისპირება.

◎ ძიუდო

# საქართველოს ქალთა ნაკრები გორში შეიკრიბა

**კვლავ გორი. კვლავ გურამ პაპიტაშვილის სახელობის სპორტული დარბაზი. ამჯერად – საქართველოს გოგონათა ნაკრები ძიუდოში.**

გასაკვირი კია. ჩვენმა მოჭიდავეებმა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ძიუდოს „მზის ქვეშ“ კარგა ხანია ადგილი დაიმკვიდრეს, ქალთა ძიუდო კი ადგილიდან არ იძვრის. არადა, ბევრ ქვეყანას სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა ძიუდოს ძლიერი ნაკრებები გამოჰყავს. ჩვენში კი რა ხდება?

ცოდვა გამხელილი სჯობს: დიდი ხნის მანძილზე ქალთა ძიუდოსი არავის სჯერა. თითო-ოროლა სპორტსმენ გოგონას გაზაფხულის მოყვანა არ შეეძლო. საქართველოს ქალთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის, ვალერი პარუნაშვილის



თქმით, ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ძიუდოში ახალი ტალღა აგორდა, ზურაბ ზვიადაურის გამარჯვებამ კი ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების საჭიდაო დარბაზებში უამრავი გოგო-ბიჭი მიიყვანა. დღეს სპორტის ამ სახეობაში გოგონების არნახული მოზღვავებაა. და თუმცა ისინი ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ, უკვე შეიქმნა შერეული ასაკის გოგონათა ნაკრები, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ცნობილი ძიუდოისტი, სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გია თენაძე. ქალთა ძიუდოში მისი, როგორც მთავარი დამრიგებლის, მოსვლით, ახალი ხანა იწყება.

საქართველოს ნაკრები თავის პირველ საწვრთნელ შეკრებას გორში გადის. თბილისელი, ყვარლელი, დუშელი, ლაგოდეხელი, მარნეულელი, აჭარელი, გორელი გოგონები გულმოდგინედ ეუფლებიან ძიუდოს ხელოვნებას. ახლა რა მწვრთნელი-დამრიგებლები ჰყავთ! გია და ანზორ თენაძეები, ვალერი პარუნაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ნიკო ბიზილაშვილი. შენ მარტო იბეჯითე და ასეთი დიდი ოსტატების ხელში კიდევაც დაოსტატდები და ქვეყანასაც ასახელებ.

აი, დუსკა ქერიმოვა, 19 წლის გარდაბნელი გოგონა, რომელიც ძიუდოს ხელოვნებას თბილისში ეუფლება.

როგორ მოგწონთ სპორტის ეს სახეობა-მეთქი, ვეკითხები.

დუსკა ცერათითს მაღლა აწევს და გაღიმებული მპასუხობს.

– ძიუდო მაგარია!

დუსკა შარშან მსოფლიო პირველობაზეც გაიყვანეს და თუმცა ძიუდოსთან მთლად გაშინაურებული არ იყო, პირველივე წრეში დიდი უპირატესობით მოუგო ისრაელის წარმომადგენელს. მეორე წრეში ავსტრიელთანაც იგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე წაიბორძიკა და დამარცხდა.

აჭარელმა ირინე ლოენიძემ კი ფურორი მოახდინა – თავისი მეტოქე, მძიმე წონის გერმანელი სანდრა კოპენი კისრულით რომ წამოიღო, თითქოს დრო გაჩერდაო, ისე გაშეშდა და გაილურსა დარბაზი. მაგრამ ეს სულ ორიოდ წამს გაგრძელდა – შემდეგ ატყდა აღტაცების შეძახილები, ოვაციები და იპონი! – მსაჯებმაც აღარ დააყოვნეს. მაღალმთიანი აჭარა უძახე შენ!

ოსი დიანა ნანიევა ლაგოდეხელია და მწვრთნელის აზრით ამ პირმშვენიერმა გოგონამ ახლო მომავალში ქალთა ძიუდოში თავისი სიტყვა უნდა თქვას.

17 წლისაა გორელი მაია ტარუაშვილი, მის სპორტულ ბიოგრაფიაში უკვე ჩაიწერა სტამბოლისა და ბაქოს საერთაშორისო შეჯიბრებებზე მოპოვებული გამარჯვებები.

მაიას, ისევე როგორც საქართველოს ქალთა ნაკრების სპორტული აღმასვლა მხოლოდ ახლა იწყება...

**გურამ ვაშაკიძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# არბიტრები დანიშნეს

**ევროპული ფეხბურთის შტაბმა – უეფამ – გამოაქვეყნა იმ მსაჯების სია, ვინც დღეს, 6 ნოემბერს გაუძღვებიან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მე-4 ტურის მატჩებს. აი, ისინიც:**

„ლივერპული“ – „ბეშიქტაში“ – **მარკუს მერკი** (გერმანიიდან), „პორტუ“ – „მარსელი“ – **ვოლფგანგ შტარკი** (გერმანიიდან), „ვალენსია“ – „რუსენბორგი“ – **ალონ იეფეტი** (ისრაელი), „შალკე“ – „ჩელსი“ – **კიროს ვასარასი** (საბერძნეთიდან), „ლაციო“ – „ვერდერი“ – **ივან ბებეკი** (ხორვატიიდან), „იოლმპიაკოსი“ – „რეალი“ – **ლიუბოშ მიხელი** (სლოვაკეთიდან), „სელტიკი“ – „ბენფიკა“ – **მარტინ ჰანსონი** (შვედეთიდან), „შახტიორი“ – „მილანი“ – **პიტერ ვინკი** (ჰოლანდიიდან.

◎ ფეხბურთი



# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XI ტური.** „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 1:1, „ლაციო“ – „ფიორენტინა 0:1, „ემპოლი“ – „რომა“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 25, „ფიორენტინა“ – 23, „რომა“ – 22 ქულა.

**ესპანეთი. XI ტური.** „სევილია“ – „რეალი“ 2:0, „ბარსელონა“ – „ბეტისი“ 3:0, „ატლეტიკო“ – „ვილიარეალი“ 3:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ – 25, „ბარსელონა“, „ ვილიარეალი“ – 24-24 ქულა.

**ინგლისი. XII ტური.** „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 2:2, „უიგანი“ – „ჩელსი“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“ (11 თამაშიდანა, „მანჩესტერი“ – 27-27 ქულა, „ჩელსი“ – 24 ქულა.

**გერმანია. XII ტური.** „ბაიერნი“ – „აინტრახტი“ 0:0, „ჰამბურგი“ – „ჰერტა“ 2:1, „ვერდერი“ – „ჰანზა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 28, „ჰამბურგი“ – 26, „ვერდერი“ – 24 ქულა.



**საფრანგეთი. XIII ტური.** „ლიონი“ – „ვალანსიენი“ 2:0, „ნანსი“ – „ბორდო“ 1:0, „რენი“ – „მონაკო“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 31, „ნანსი“ – 27 (12 თამაშიდანა, „რენი“ – 24 ქულა.

**მთელი მსოფლიოს ყველა კონტინენტის 35 ქვეყნის 164 უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის 1900 მეცნიერი ილვწის ატლასის შესრულებაზე. 2008 წელს პირველი პროტონის გამობრწყინება დაფიქსირდება ატლასის ცენტრში და მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში ეს თარიღი ლეგენდარული გახდება**




მეცნიერება

# ქართველები — ლეგენდარული თარიღის შემოქმედთა შორის

**„ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“ (კოლაიდერი — ამაჩქარებელიძ — ასეთი გახლდათ სახელწოდება საერთაშორისო კონფერენციისა, რომელსაც 4 დღის მანძილზე მასპინძლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

საერთაშორისოობა ამჯერად მართლაც რომ „მრავალქვეყნიური“ იყო — აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი (არ იფიქროთ, თითქოს რუსეთი ბოლო ადგილზე დავაყენეთ — უბრალოდ, შორიდან „ვუახლოვდებოდით“ მასპინძელ ქვეყანას საქართველოსძ. „კოლაიდერული ფიზიკის“ თანამედროვე და მაშასადამე, აქტუალური პრობლემების ირგვლივ 30-ზე მეტი მოხსენება მოისმინეს, დიდწილად, ქართველი მკვლევარებისაც, როგორც თბილისელი, ისე „გაუცხოებულისა“ (ფორუმზე ჩამოვიდნენ აშშ-ში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში და სხვაგანაც „გაბნეული“ ჩვენებურებიძ.

ბარემ აქვე მივცემ თავს ერთი საყვედურის გამოთქმის ნებას: ორგანიზატორებმა რატომღაც არ ჩათვალეს საჭიროდ პროგრამის შედგენა და გამომზეურება მასპინძელი ქვეყნის ენაზეც — ქართულზე (ოდენ ინგლისურით შემოიფარგლნენძ. თანაც ყველა მოხსენება, მათ რიცხვში ქართველებისაც, ინგლისურად „გაშუქდა“ (ეკრანზე!ძ და „გახმოვანდა“. მართალია, ქართული არ არის საერთაშორისო, „საგარეო“ ენა (და არც არასოდეს იქნებაძ, მაგრამ როცა ამგვარ ღონისძიებას საქართველოში ვატარებთ, კეთილი ვინებოთ და სახელმწიფო ენას, მშობლიურ ენაზე პატივი ვცეთ, მით უფრო, რომ ისედაც არ ადგას კარგი დღე.

შენიშვნისათვის ბოდიშს ვუხდი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ ჯემალ ხუბუას და ვთხოვ რამდენიმე სიტყვას კონფერენციის თაობაზე (ბატონი ჯემალი, რომელმაც, სხვათა შორის, ჩვენი საყვედური გაიზიარა, „სრ“-ის ფურცლებზე ადრეც არაერთხელ წარმოგვიჩენია და ყოველთვის დამსახურებულად; აქ მკითხველს მხოლოდ შევახსენებ, რომ დუბნაში მომუშავე თანამემამულე საქართველოს გუნდის ლიდერია საერთაშორისო პროექტში „ატლასში“, რომელიც ხორციელდება შვეიცარიაში, ჟენევაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში — სახელგანთქმული CERN-ი, „ცერნი“ძ.

— ბოლო ხანებში გვსმენია მოარული ხმები — საქართველოში მეცნიერებას კლავენო. პოლიტიკაში გარევა არ მინდა, არ ვიცი, ვინ ვის ჰკლავს და როგორ, მაგრამ ის კი კარგად დავინახე, რომ ამ ფორუმის გამართვაში გვქონდა სრული თანადგომა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, მეცნიერების მხარდამჭერის ფონდისაგან.

არ ყოფილა არავითარი შეფერხება, რაც ვთხოვე, ყველაფერი გამიკეთეს, რამაც კონფერენციას განსაკუთრებული ელფერი შესძინა; მონაწილენი თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებიან ამაღლებული განწყობით, მადლიერნი და თქვენ წარმოიდგინეთ გაკვირვებულებიც.

გამოსვლები იყო ერთობ მაღალი მეცნიერული დონის, რაც ხაზგასმით აღნიშნა ჩვენმა სტუმარმა, მიუნხენის მაქს პლანკის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა, პროფესორმა ფრიდრიჰ დიდაკმა.

**— ბატონო ჯემალ, რამდენიმე თვის წინათ რომ ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება წაიკითხეთ, მახსოვს, როგორ შეაქეთ ჟენევის პროექტში ჩაბმული ქართველები, განსაკუთრებით ლაშა შარამაზანაშვილი...**

— ევროპაში, ასეთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრში კაცზე რომ ასეთ დონეზეა მოთხოვნა, როგორც ლაშას შემთხვევაში, ეს უკვე დიდი ამბავია, აგერ ისიც, გაიცანით...

გავიცანი და მკითხველსაც გავაცნობ: ***ლაშა შარმაზანაშვილი 47 წლისაა, დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სკისძ ელექტრომექანიკური ფაკულტეტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია და პროფესორი. გახლავთ პროექტ Catta-ს მენეჯერი, პროექტისა, რომელიც „ატლასის“ დეტექტორის შექმნაში მნიშვნელოვან წილს დაიდებს. დაოჯახებულია, მეუღლე ქეთევან მირზიაშვილი ექიმი-სტომატოლოგია, ჰყავთ 2 ვაჟიშვილი — 21 წლის ნიკა და 15 წლის გიორგი.***

— ჩემი ბედნიერება იყო, რომ მასწავლიდნენ აკადემიკოსები თეიმურაზ ლოლაძე, ალეკო თავხელიძე, როგორც მოსკოველი პროფესორი ვლადიმერ გორნევი. სამივემ მარტო მეცნიერებას კი არა, კაცობას, პიროვნულობას, მოქალაქეობას მაზიარეს, — გაიხსენა ბატონმა ლაშამ. — CERN-ის „ატლასს“ რაც შეეხება, ეს მისი დანადგარი არის ურთულესი კომპლექსური საინჟინრო ნაგებობა, სირთულით რამდენჯერმე აღმატებული, მაგალითისათვის, ავიალაინერ ბოინგზე.

ბუნებრივია, როცა ასეთი კომპლექსური ნაგებობა მიწის ქვეშ 100 მეტრის სიმაღლეზე უნდა აშენდეს, სადაც ასე შეზღუდული ხარ, ამას ვერ გააკეთებ, თუ მთელი დანადგარის კომპიუტერული მოდელი არ გექნება. ეგ იმიტომ, რომ ყველა საპროექტო საინჟინრო სამუშაო ასეთ მოდელზე ხორციელდება და მერე ხდება რეალობაში შედეგების გადატანა.

ჩვენი ჯგუფი ქართველი ინჟინრებისა (ნაწილი თბილისშია, ნაწილი — ჟენევაშიძ პასუხისმგებელია მოდელის შექმნაზე, ჯგუფის ხელმძღვანელი მე გახლავართ.

„ატლასი“ კი, თავის მხრივ, არის ამაჩქარებლის ნაწილი, მასზე ძევს. პროტონთა ნაკადის ეს ამაჩქარებელი, ჟენევაში რომ კეთდება, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი და ყველაზე თანამედროვე იქნება...

ჩემმა მოსაუბრემ მაჩუქა ლამაზი ფერადი ბუკლეტი „ექსპერიმენტი“ „ატლასი“. სამყაროს საიდუმლოებათა რუკა, რომლიდანაც ერთ ფოტოსა და ორიოდ ამონარიდს აქვე გთავაზობთ.

„ატლასი“ იმ ფიზიკური ექსპერიმენტის ნაწილია, რომელსაც 35 ქვეყნის სწავლულები ატარებენ CERN-ის ლაბორატორიაში (ჟენევა, შვეიცარიაძ. მიზანი — ბუნებისა და იმისი ძირითადი მოვლენების ფუნდამენტური კვლევა, რათა შევიცნოთ სამყარო და წარმოდგენა ვიქონიოთ სამყაროს ფორუმებზე“.

„მთელი მსოფლიოს ყველა კონტინენტის 35 ქვეყნის 164 უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის 1900 მეცნიერი ილვწის ატლასის შესრულებაზე. 2008 წელს პირველი პროტონის გამობრწყინება დაფიქსირდება ატლასის ცენტრში და მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში ეს თარიღი ლეგენდარული გახდება და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა თუ ლაბორატორიაში იქცევა მსჯელობა-განხილვის საგნად“...

**თამაზ ებანოიძე**



ჩვენი ჯანმრთელობა

## ზედმეტი ფინჯანი ყავა

**ჩვენში ყავის მოყვარულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. შინ თუ გარეთ (ანუ სამსახურსა თუ კაფე-ბარებშიძ უყავოდ გაძლება ბევრს უკვე უჭირს. ამიტომაც, ბუნებრივია, ისმის კითხვა — რამდენი ფინჯანი ყავის დალევა შეიძლება ისე, რომ საკუთარ ორგანიზმს არ ვავნოთ?**

ექიმ-დიეტოლოგებს თუ დავუჯერებთ, დღეში დაახლოებით 4 ფინჯანი ყავა ზომიერი რაოდენობაა, მისმა გადაჭარბებამ კი, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს ჯანმრთელობაზე. კოფეინი გულს უფრო სწრაფად მუშაობას აიძულებს და წნევაც მაღლა იწევა. ამიტომაც მათთვის, ვინც ჰიპერტონიითაა დაავადებული, არ შეიძლება ამ გამამხნევებელი სასმელის ბოროტად გამოყენება. თანაც იმ ადამიანებს, ვინც დღეში 6 ფინჯანზე მეტ ყავას მიირთმევს, გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი დაახლოებით 70 პროცენტით უდიდდებათ.

კიდევ ერთი საფრთხის შესახებ, ყავის მოყვარულთ რომ ჩასაფრებია — მყიფე ძვლები. კოფეინი ორგანიზმიდან გამორეცხავს კალციუმს და ხელს უშლის მის შეთვისებას, რათა ავინაზღაუროთ 1 ფინჯანი ყავის ეფექტი, აუცილებელია დამატებით 40 მილიგრამი კალციუმის მიღება. ამიტომაც ყავამანიებმა მეტი ადგილი უნდა დაუთმონ თავიანთ მენიუში რძის პროდუქტებს, თევზსა და ფოთლოვან ბოსტნეულს.

ფეხმძიმე ქალებსაც მეტი სიფრთხილე მართებთ, რათა შეამცირონ მუცლის მოწყვეტის ან ჩანასახის შენელებული ზრდის რისკი. თუმცა ყოველივე ეს არ ნიშნავს კოფეინზე მთლიანად უარის თქმას. დღეში 1 ფინჯანი ყავა არავითარ ვნებას მოგიტანთ. და კიდევ, ყავით გატაცებას არ ვურჩევთ იმათ, ვისაც უძილობა აწუხებს. კარგად რომ დაიძინოთ, მაშინ ყავაზე უარი უნდა თქვათ დაწოლამდე 6 საათით ადრე მაინც.



რა არ ხდება

## თავისებური საქმრო



**ინგლისის მეფე ჰენრიხ მერვეს თავისებური „ჰობი“ ჰქონდა: ცოლების შერთვა უყვარდა. ნისლიანი ალბიონის სახელმწიფო არქივში აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ცოლთმოყვარულ მონარქს მუდამ თან დაქონდა ოთხი საქორწინო ბეჭედი მომავალი საცოლეებისთვის.** უკვე ექვსი ცოლი რომ ჰყავდა (ორმა მათგან მისივე ბრძანებით სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულაძ, ის მაინც ახლად ქორწინებებზე ფიქრობდა. ისტორიკოსებმა მისი ბეჭდების კოლექციას „სამქროს სასწრაფო მარაგი“ უწოდეს.

ჰენრიხ VIII სიმსუქნისგან 48 წლის ასაკში 1547 წელს გარდაიცვალა. სასიკვდილო სარეცელზე კი ის მორიგ ბედნიერ ქორწინებაზე ოცნებობდა!

## ჩემპიონობა ჭამაშიც შეიძლება

**ამის ნათელი დამადასტურებელი იყო უკრაინის ქალაქ ხმელნიცკში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი „ვარენიკების“ ჭამაში.** ამ უჩვეულო შეჯიბრების ჩემპიონი გახდა ტერნოპოლის ოლქის ჩერვონოგრადის მცხოვრები, 26 წლის ტარას ძიუბა. ფინალში ის დაუპირისპირდა მოქმედ ჩემპიონს — აშშ მოქალაქეს ნიკოლა ლეცინს. ძიუბას შედეგია ოთხი წუთი და ერთი წამი. ამ დროში მან გადასანსლა... ასი „ვარენიკი“! შეჯიბრების შემდეგ გამარჯვებულმა გულშემატკივრებს თავისი „ტექნიკაც“ გააცნო: „მათი ყლაპვა რომ დაიწყო, მალე სადღაც გაგეჩხირება და შემდეგი „ვარენიკი“ ყელში აღარ გადავა. ამიტომ რომელიმე სასმელი უნდა დააყოლო, თანაც „ვარენიკი“ ორად მაინც უნდა გაკბიჩო“.

## როგორ გავხდეთ მილიონერი?

**„ეს ხომ ძალზე იოლია!“ — თქვა სამმა ბოროტმოქმედმა და თავს დაესხა 108-ე საფოსტო განყოფილებას ნოვოსიბირსკის ლენინის რაიონში.** გაიხსენეს რა ანდაზა, რომ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ მიეწევა მწევარიო, ისინი დილის 8.50 საათზე შეიჭრნენ საფოსტო განყოფილებაში და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს ხელიდან გამოგლიჯეს საინკასატორო ჩანთა, რომელშიც 1 მილიონ 355 ათასი რუბლი იყო.



ახალბედა „მილიონერებს“ დღესაც ეძებენ.

● პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელის შეფასებით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოპოზიციას პასუხი თავის სტილში, გაწონასწორებულად გასცა და შავბნელ ძალებში ხალხი არ უგულისხმია



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: როგორც ვიცით, ადრე დროებითი შრომისუნარიანობის გამო დახმარების დანიშვნა-გაცემის სისწორეზე პასუხისმგებლობა სოციალური დაზღვევის ფონდს ეკისრებოდა როგორ არის ეს საკითხი მოწესრიგებული მოქმედი კანონით?**

**მაია დარახველიძე**

**პასუხი:** 2007 წლის 1 იანვრიდან დროებით შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის დამსაქმებელს (დაწესებულებას).

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება გვაცნობეთ, რა დროიდან ინიშნება დროებითი შრომისუნარიანობის გამო დახმარება?**

**ელენე გიორგაძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება ინიშნება საავადმყოფო ფურცლის გაცემის დღიდან.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, მიიღება თუ არა მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის დახმარების ოდენობის გაანგარიშებისას ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები?**

**ნანა თაბუნიძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშებისას, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები მხედველობაში არ მიიღება.

* * *

**კითხვა: ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ოდენობის საყოფაცხოვრებო სუბსიდია მეკუთვნის?**

**ამირან ჩუგაშვილი**



**პასუხი:** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია ეძლევათ 22 ლარის ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვარ სამხედრო ჯარების ვეტერანი, 73 წლის. ამ ბოლო დროს სისტემატურად ვავადმყოფობ. კვალიფიციურ ექიმთან ვიზიტი კი წარმოუდგენლად ძვირია. ამას წამლების გაზრდილი ფასებიც ემატება და გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. ადრე შეღავათებით ვსარგებლობდი ყველა სახის გადასახადზე. ახლა რა თანხაც მოგვდის, წყლისა და გაზის გადასახადს ძლივს ყოფნის.**

**გთხოვთ, გვაცნობოთ, როდის აღვიდგება შეღავათები ომის ინვალიდებსა და სამხედრო ძალების ვეტერანებს?**

**რამინ არველაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, სამხედრო ძალების ვეტერანებს ეკუთვნით საყოფაცხოვრებო სუბსიდია 22 ლარის ოდენობით. გასაგებია თქვენი გულისტკივილი შეღავათების შემცირებასთან დაკავშირებით, მაგრამ კანონში ცვლილებები შედის პარლამენტის დადგენილებით და რედაქცია მოკლებულია შესაძლებლობას, დაგეხმაროთ (როგორც თქვენ, ისე ომის ინვალიდებს) თქვენთვის ამ მეტად საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში.

* * *

**კითხვა: მაქვს 52 წლის უწყვეტი შრომის სტაჟი. ვცხოვრობ ბათუმში. ვარ 76 წლის. გთხოვთ განმიმარტოთ, რა ოდენობის პენსია მეკუთვნის?**

**მარიამ მჭედლიშვილი**

**პასუხი:** პენსია, სამწუხაროდ, მხოლოდ 38 ლარის ოდენობით გეკუთვნით. დანამატი 38 ლარიან პენსიაზე, სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს თვეში 10 ლარისა, მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ ასაკით პენსიონერებს ენიშნებათ.

* * *

**კითხვა: ვარ 16 წლის, ვმუშაობ მშენებლობაზე მუშად. გარდამეცვალა მამა, რომელიც ხანგრძლივად ავადმყოფობდა და სწორედ ამით იყო გამოწვეული ასე ადრეულ ასაკში ჩემი ფიზიკური დატვირთვა. გთხოვთ, განმიმარტოთ, მომეცემა მამის პენსია?**

**ზეზვა დარსაველია**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ 18 წლის შესრულებამდე პენსია მამის გარდაცვალების გამო ყველა შემთხვევაში მოგეცემათ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

ქ. ზუგდიდის შპს „ჰიგიენა“ აცხადებს ლიკვიდაციას ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტასთან დაკავშირებით.
**მისამართი: ზუგდიდი, კედიას ქ. 50.**
**ადმინისტრაცია**

**შპს „გამომცემლობა სტანდარტი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ.თბილისი, ჩარგლის ქ.№67. ტელ:899-51-05-98.**

## ინფორმაცია

### შავბნელ ძალებში ხალხი არ უგულისხმია

**პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელის შეფასებით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოპოზიციას პასუხი თავის სტილში, გაწონასწორებულად გასცა და შავბნელ ძალებში ხალხი არ უგულისხმია.**

— აზრის იმაზე მეტი არასწორი ინტერპრეტაცია არ მსმენია, რაც ოპოზიციის ლიდერებმა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებს გაუკეთეს, — განაცხადა ალექსანდრე რონდელმა პრეზიდენტ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლის კომენტირებისას.

მისივე აზრით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოპოზიციის ბრალდებებს პასუხი ვითარების მისეული ანალიზის საფუძველზე გასცა, მაგრამ ოპოზიციამ პრეზიდენტის განცხადებების არასწორი ინტერპრეტირება სცადა.

რონდელმა ოპოზიციის შეფასება სირცხვილად შეაფასა და მათ ეთიკის ნორმების დაცვისაკენ მოუწოდა.

როგორც რონდელმა აღნიშნა, ყოვლად მიუღებელია, როცა აქციაზე ოპოზიციონერები პრეზიდენტის დედას და ოჯახის წევრებს ეხებიან. მისივე თქმით, პრეზიდენტმა გარკვევით აღნიშნა, რომ მას ესმის ხალხის გულისტკივილი.

პოლიტოლოგის მტკიცებით, პრეზიდენტმა შავბნელ ძალებში არა ხალხი, არამედ გარკვეული პოლიტიკური ძალები იგულისხმა და ნათლად მიუთითა, თუ ვის გულისხმობდა.

### იქნებ რეფერენდუმმა გვიშველოს

**საპარლამენტო ფრაქცია მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე ხელისუფლებასა და საზოგადოებას არჩევნების თარიღთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას სთავაზობს.**

ამის შესახებ საგანგებო განცხადება დავით გამყრელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

სამწუხაროდ, როგორც მომიტინგეების




მოთხოვნა, ისე ხელისუფლების მხრიდან ამ მოთხოვნების მიმართ დამოკიდებულება ძალიან სცილდება ერთმანეთს და ეს პროცესები როგორმე უნდა შეჩერდეს.

მემარჯვენეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას და მიიჩნევენ, პარლამენტმა არ უნდა დაუშვას უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების პრეცედენტი.

### მემარჯვენეები დღევანდელ სიტუაციაში ვერ გაერკვნენ

**მემარჯვენეების ინიციატივა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებაზე მიუთითებს, რომ ისინი სიტუაციაში ვერ გაერკვნენ.**

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალეკო შალამბერიძემ განაცხადა.

— რეფერენდუმი არჩევნებზე ნაკლები პროცესი არ არის. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს რომ რეფერნდუმი დაემატოს, ეს მხოლოდ რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს, — მიიჩნევს შალამბერიძე.

მისივე თქმით, ამჟამად ვითარება დაწყნარებისკენ მიდის, მოსახლეობა გაერკვა ვითარებაში და "მემარჯვენეების" ინიციატივა არასასურველ შედეგს მოიტანს.

### მომიტინგეები საავადმყოფოებში გადაიყვანეს

**პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილე 24 ადამიანი სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

მიტინგზე ღამის გასათევად დარჩენილმა მოქალაქეებმა სასწრაფო დახმარება ნაწლავური ინფექციის სიმპტომების გამო გამოიძახეს.

როგორც "033"-ში განმარტავენ, პირველადი შემოწმებით, მომიტინგეების ორგანიზმში დისკომფორტი სხეულის გადაციებამ და, გარკვეულწილად, ალკოჰოლურმა ინტოქსიკაციამ გამოიწვია.

### პოლიციამ ოზურგეთში საპროტესტო აქცია დაარბია

**პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუშინ პოლიციამ ოზურგეთში მიმდინარე საპროტესტო აქცია დაარბია.**

ოპოზციიის ლიდერებმა მოუწოდეს ყველა სამხარეო პოლიციის უფროსს, არ შეასრულონ უკანონო ბრძანებები, რომლებიც ხელისუფლებისგან მოდის.

მათივე განცხადებით, ყველა დაისჯება, ვინც ამ ბრძანებებს გასცემს და ასრულებს.

როგორც აქციაზე ითქვა, ყველა მიიღებს საკადრის პასუხს და დადგება მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობაც, რადგან აქციაზე გამოსული ადამიანები არაფერს უკანონოს არ სჩადიან და თავიანთ უფლებებს იცავენ.

ოზურგეთში დღეს კიდევ გაიმართება საპროტესტო აქცია. ოპოზიცია მოუწოდებს სამართალდამცავებს და პოლიციას, რომ არ დაშალონ აღნიშნული აქცია.

**ინტერპრესნიუსისა და ჩი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

№ 212. სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2007 წელი.

**არმაზ სანებლიძე, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია თანაუგრძნობენ ნანა ჯაფარიძეს და ლადო ჭელიძეს დედისა და სიდედრის**

**ქეთევან კონტრიძე-ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**მძახლები ნანა და ცოტნე მირცხულავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**რობერტ (ბიჭიკო) ბესელიას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 XI, 17 საათზე. გამოსვენება 8 XI, 14 სთ. ატენის 16.**

**საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გამგეობა და ასოციაციის წევრები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ასოციაციის საორგანიზაციო მდივანს ქეთევან გოგელიას და მის ოჯახს დედის, დამსახურებული, სათნო ქალბატონის**

**ვენერა გოგელიას**

**გარდაცვალების გამო. გამოსვენება 6 XI, 14 სთ. ივერიის ღვთისმშობლის კარის ეკლესიიდან. ეროსი მანჯგალაძის ქ. №1 (ნაძალადევის რაიონი).**

**უახლოესი მეგობრები: ნუგზარ ცაგარეიშვილი, ელვერ კუპატაძე, მოსე მდინარაძე, უშანგ შერმაზანაშვილი, ვასილ ჩალაძე, რევაზ ნაცარიშვილი, გიორგი ხაზარაძე, კარლო გარდაფხაძე, კუკური ბუხრაშვილი, ალექსანდრე ვაშაკიძე, ვალერიან რეკვავა, ვახტანგ ჯაფარიძე, ზაქარია ჯოხარიძე, გაიოზ ხუციშვილი, ომარ დალაქიშვლი, ნიკოლოზ აბრამიშვილი, არჩილ მახარობლიძე თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ დავით იაკობაშვილს ძმის**

**ირაკლი იაკობაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

# ბოლო გვერდი

● 1643 წლიდან ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ფერისცვალების ეკლესიაში იყო დაბრძანებული (მოსკოვშიძ და 1688 წელს განდიდდა, როდესაც იოანე და პეტრე ალექსის ძეთა მეფობის დროს სასწაულებრივად განკურნა პატრიარქ იოაკიმეს ღვიძლი და – ეფემია



## შენ ვერ გახდი ხალხის პრეზიდენტი!

*რუსთაველი კვლავ გუგუნებს ერთხმად,*
*რუსთაველზე კვლავ სუნი დგას დენთის,*
*– ეს რა ბედი გაგიმზადა ღმერთმა,*
*შენ ვერ გახდი ხალხის პრეზიდენტი.*

*ჩვენ გელათშიც გვახსოვს ფიცი შენი,*
*ბრწყინვალება ატლასის და ფარჩის,*
*ეჰ, ამდენი დაპირების მერე*
*ბოკერიას პრეზიდენტად დარჩი!*

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ სულიერება

## დღესასწაული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“



**6 ნოემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო და საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ხსენების დღეს.**

საინტერესო ისტორია აქვს ამ ხატის დღესასწაულად დადგენას. 1643 წლიდან ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ფერისცვალების ეკლესიაში იყო დაბრძანებული (მოსკოვშიძ და 1688 წელს განდიდდა, როდესაც იოანე და პეტრე ალექსის ძეთა მეფობის დროს სასწაულებრივად განკურნა პატრიარქ იოაკიმეს ღვიძლი და – ეფემია. მძიმე ავადმყოფმა – ეფემიამ განკურნების იმედი როდესაც დაკარგა, გადაწყვიტა, წმინდა საიდუმლოსთან ზიარების მონაწილე ყოფილიყო. ეზიარა კიდეც და მის შემდეგ თითქმის 12 საათი ეძინა... გამოღვიძების შემდეგ თქვა, რომ უფალმა მოინახულა იგი და სიზმრად ესმა ხმა, რომელმაც აუწყა, რომ ფერისცვალების ტაძარში არის ხატი – ყოველთა მწუხარეთა სიხარული: „მოიხმე ღვთისმსახური ამ ხატთან ერთად, მან პარაკლისი და წყლის კურთხევა აღასრულოს და განიკურნები“. მართაც ილოცა მის წინაშე და ნაკურთხი წყალიც იპკურა... პატრიარქის და განიკურნა... ეს სასწაული 6 ნოემბერს მოხდა.

**გიული ლიპარტია**

◉ ინფორმაცია

## ედუარდ კოკოითმა სერგეი ჩაბანი „მეგობრობის ორდენით“ დააჯილდოვა

**სოხუმში მყოფმა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა აფხაზეთში დისლოცირებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალი სერგეი ჩაბანი ცხინვალის რეჟიმის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი „მეგობრობის ორდენით“ დააჯილდოვა. ამის შესახებ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი იუწყება.**

– სამშვიდობო ძალების წყალობით კონფლიქტის ზონებში მრავალი წლის მანძილზე ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფა ხდება. რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში საკუთარ მოვალეობებს ღირსეულად ასრულებენ და ადგილზე კონფლიქტების დასრულებამდე დარჩებიან. ჩვენ ამისთვის ვიბრძოლებთ, – განაცხადა კოკოითმა სამშვიდობო ძალების ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან შეხვედრაზე.

მან მედლები სამშვიდობო ძალების განსაკუთრებულად გამორჩეულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებსაც გადასცა.

ედუარდ კოკოითი და დნესტრისპირეთის დე ფაქტო პრეზიდენტი იგორ სმირნოვი სოხუმში დე ფაქტო პრზიდენტების სამიტზე იმყოფებიან.

## ფოთში ინდივიდუალური გამრიცხველიანების მეორე ეტაპი იწყება

კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალი დღეს, ფოთში ინდივიდუალური გამრიცხველიანების მეორე ეტაპს იწყებს.

როგორც „ენერგო-პრო ჯორჯია“-დან გვაცნობეს, ინდივიდუალურად 4 910 აბონენტი გამრიცხველიანდება. მათ შორის გამრიცხველიანდება 54 ტრანსფორმატორი, 74 კორპუსი და 61 ქუჩა.

გამრიცხველიანების დაწყებამდე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, შეიცვალა მოძველებული სადენები და ბოძები.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## ყვარელში — ილიაობაზე



**8 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ყვარელში ელოდებიან.**

**8 ნოემბერს ყვარელში ილია ჭავჭავაძის 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჭავჭავაძის განახლებული სახლ-მუზეუმის და სახელმწიფო მუზეუმის საიუბილეო ექსპოზიციის გახსნაც იგეგმება.**

5 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა კვირეული დაიწყო, რომელიც 11 ნოემბრამდე გასტანს.

ილიას 170 წლის იუბილეს მრავალი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნება, მათ შორის – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ილია ჭავჭავაძის ვებგვერდისა და ახალ გამოცემათა პრეზენტაცია და სხვ.

## სკოლებში სწავლა განახლდა

**გუშინ თბილისის ცენტრში მდებარე პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, №42, 47, 51-ე საჯარო სკოლებში შეწყვეტილი სასწავლო პროცესი აღდგა.** როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა მაია ჩანქსელიანმა აღნიშნა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში მდებარე სკოლებში სწავლა აღდგენილია.

– გაცდენილი საათები სკოლის დირექციის სურვილისამებრ 180 სასწავლო დღის განმავლობაში რომელიმე დღეს უნდა აღდგეს, – აცხადებს მაია ჩანქსელიანი.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

– შენ რომ მილიონი დოლარი გქონდეს, რას გააკეთებდი?
– არაფერს!
– როგორ თუ არაფერს?
– რა საჭიროა?!

* * *



ახალი წელი არ იქნება, ახლანდელი კი მეორე ვადით დადგება.

* * *

არყის დალევაზე ჩემი ზომა ვიცი, მაგრამ როცა ვსვამ, აღარ მახსენდება!

* * *

კაცი სექსოპათოლოგთან მიდის:
– ექიმო! სქესობრივი აქტის შემდეგ ყურებში სტვენა მესმის...
– კი მაგრამ, რამდენი წლისა ხართ?
– სამოცდათორმეტის...
– მაშ რა გინდათ გესმოდეთ? მქუხარე ტაში?!

* * *

ორი დობილის საუბრიდან.
– იცი, გუშინ ქმარს ვუღალატე.
– სიყვარულით თუ ფულზე?
– სიყვარულით, აბა, ასი ლარი რა ფულია?

* * *

– ექიმო, ჩემს ქმარს ფსიქიკის სერიოზული მოშლილობა აქვს. ზოგჯერ საათობით ველაპარაკები ამა თუ იმ საკითხზე, მერე კი აღმოჩნდა, რომ თურმე ჩემი არც ერთი სიტყვა არ გაუგონია.
– ქალბატონო, ეს ავადმყოფობა კი არა, ღვთის წყალობაა!

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.